GREVIO-ს ზოგადი რეკომენდაცია No1, ქალთა მიმართ ძალადობის ციფრული განზომილების შესახებ

მიღებულია 2021 წლის 20 ოქტომბერს

„ ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებებზე მომუშავე ექსპერტთა ჯგუფი (GREVIO)

COUNCIL OF EUROPE

CONSEIL DE L'EUROPE

GREVIO-ს ზოგადი რეკომენდაცია No1, ქალთა მიმართ ძალადობის ციფრული განზომილების შესახებ

მიღებულია 2021 წლის 20 ოქტომბერს

"ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებებზე მომუშავე ექსპერტთა ჯგუფი (GREVIO)

ევროპის საბჭო

ინგლისური გამოცემა:

GREVIO General Recommendation No. 1
on the digital dimension of
violence against women

ამ ნაშრომში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორებს და შეიძლება არ გამოხატავდეს ევროპის საბჭოს ოფიციალურ პოლიტიკას.

ნებადართულია ამონარიდის (500 სიტყვამდე) რეპროდუქცია, გარდა კომერციული მიზნებისა, თუკი დაცული იქნება ტექსტის მთლიანობა, ამონარიდი არ იქნება კონტექსტიდან ამოღებული, არ გადმოსცემს არასრულ ინფორმაციას ან სხვაგვარად არ შეჰყავს მკითხველი შეცდომაში ტექსტის არსთან, ფარგლებსა ან შინაარსთან დაკავშირებით. ტექსტის წყარო ყოველთვის მითითებული უნდა იყოს შემდეგნაირად „© ევროპის საბჭო, გამოცემის წელი“.

ყველა სხვა თხოვნის შემთხვევაში, რომელიც ეხება ამ დოკუმენტის ან მისი ნაწილის რეპროდუქციას ან თარგმანს მიმართეთ ევროპის საბჭოს კომუნიკაციების დირექტორატს (F-67075 Strasbourg Cedex or publishing@coe.int).

ამ დოკუმენტთან დაკავშირებული ყველა სხვა თხოვნით მიმართეთ ევროპის საბჭოს დემოკრატიის გენერალურ დირექტორატს.

ყდის დიზაინი და შიგთავსი:
დოკუმენტებისა და პუბლიკაციების გამოცემის დეპარტამენტი(DPDP), ევროპის საბჭო

ყდის ფოტო:©Shutterstock

© ევროპის საბჭო, ნოემბერი 2021

დაბეჭდილია ევროპის საბჭოში

GREVIO(2021)20

ადაპტირებულია 2021 წლის 20 ოქტომბერს
გამოქვეყნებულია 2021 წლის 24 ნოემბერს
ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის მონიტორინგის მექანიზმის სამდივნო

www.coe.int/conventionviolence

Contents

შესავალი **5**

ზოგადი რეკომენდაციის ფარგლები **7**

ქალთა მიმართ ძალადობის ციფრული განზომილება: კონცეფცია და ტერმინოლოგია **13**

სტამბოლის კონვენციის საფუძველზე წარმოქმნილი ვალდებულებები ციფრულ განზომილებაში გამოხატულ ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებით **19**

სექსუალური შევიწროება ონლაინ 21

ონლაინ და ტექნოლოგიით ხელშეწყობილი ადევნება 22

ფსიქოლოგიური ძალადობის ციფრული განზომილება 23

რეკომენდაციები **25**

პრევენცია 25

დაცვა 27

სისხლისსამართლებრივი დევნა 29

კოორდინირებული პოლიტიკა 30

დანართი: ლექსიკონი **33**

შესავალი

1. ციფრულ სფეროში ქალთა მიმართ ჩადენილ ძალადობას GREVIO აღიარებს, როგორც მზარდ გლობალურ პრობლემას მძიმე შედეგებით. ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის (შემდგომში სტამბოლის კონვენცია) 69-ე მუხლის მიხედვით, GREVIO უფლებამოსილია, მიიღოს ზოგადი რეკომენდაციები კონვენციის შესრულებასთან დაკავშირებით. 21-ე პლენარულ სხდომაზე GREVIO-მ გადაწყვიტა, მოემზადებინა პირველი ზოგადი რეკომენდაცია და მიეძღვნა ის სტამბოლის კონვენციის გამოყენებისთვის, ქალთა მიმართ ძალადობის ციფრულ განზომილებასთან მიმართებით. სტამბოლის კონვენციის განმარტებითი ანგარიშის თანახმად, ზოგად რეკომენდაციებს ყველა მხარისთვის საერთო მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს და შეეხებოდეს კონვენციაში შემავალ მუხლებსა თუ თემებს. ზოგადი რეკომენდაციები არ არის სამართლებრივად სავალდებულო, თუმცა მხარეებისთვის კონვენციის სხვადასხვა თემის უკეთ გაგების წყაროა, ასევე, მკაფიო სახელმძღვანელო, რომელიც კონვენციაში შემავალი დებულებების ეფექტიან შესრულებას უწყობს ხელს. ეს რეკომენდაციები ასევე უნდა იყოს მომავალი მონიტორინგის რაუნდების ნაწილი.[1]

2. GREVIO-ს პირველი ზოგადი რეკომენდაციის შემუშავების პროცესზე ზედამხედველობისათვის შეიქმნა სამუშაო ჯგუფი ქალთა მიმართ ძალადობის ციფრული განზომილების ზოგადი რეკომენდაციის შესახებ (GREVIO-GT-DD).

3. მუშაობის პროცესში GREVIO-GT-DD-მ გამართა შეხვედრების სერია, რათა დაედგინა წევრ სახელმწიფოთა წინაშე არსებული გამოწვევები ქალთა მიმართ ძალადობის ციფრული განზომილების მიმართულებით და შეემუშავებინა შესაბამისი რეკომენდაციები. ეს სამუშაო შეხვედრები იქცა ერთგვარ პლატფორმად სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებისა თუ დამოუკიდებელ ექსპერტთა ჩართულობისათვის.

4. GREVIO-GT-DD-ს მიერ მომზადებული ზოგადი რეკომენდაციის პირველი სამუშაო ვერსია GREVIO-მ 2021 წლის 15 თებერვალს 23-ე სხდომაზე მიიღო. რეკომენდაციის სამუშაო ვერსიის მიღების შემდეგ, არსებულ ტექსტზე მოსაზრებების

1. Council of Europe (2011a), "Explanatory Report to the Council of Europe Convention on preventing and combating violence against women and domestic violence", Council of Europe Treaty Series No. 210, პარაგრაფი 359. ხელმისაწვდომია ბმულზე https://rm.coe.int/16800d383a.

მისაღებად, სამუშაო ჯგუფი დაუკავშირდა ევროპის საბჭოს რიგ კომიტეტებსა და მონიტორინგის ორგანოებს. ევროპის საბჭოს ორგანოებთან მოსაზრებათა გაცვლას მოჰყვა საჯარო კონსულტაციების პროცედურა, სადაც სამუშაო ჯგუფმა მოუსმინა სამოქალაქო საზოგადოების, მათ შორის, ევროპული და ადგილობრივი არასამთავრობო და ქოლგა ორგანიზაციების წარმომადგენლებს, დამოუკიდებელ ექსპერტებსა და მკვლევრებს, ასევე, სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს, რომლებიც არიან პლატფორმის - „დაასრულეთ ქალთა მიმართ ძალადობა და დისკრიმინაცია“ - წევრები.

5. ევროპის საბჭოს კომიტეტებისა და სამოქალაქო საზოგადოებისგან მიღებული მოსაზრებები GREVIO-GT-DD-მ ასახა ზოგადი რეკომენდაციის ტექსტის სამუშაო ვერსიაში.

6. ზოგადი რეკომენდაცია No.1-ის საბოლოო ვერსია, რომელიც ასახავდა საერთო კონსულტაციების შედეგად შეტანილ ცვლილებებს, GREVIO-მ 2021 წლის 20 ოქტომბერს მიიღო.

ზოგადი რეკომენდაციის ფარგლები

7. ქალთა მიმართ ძალადობა, მათ შორის, ოჯახში ძალადობა, გენდერის ნიშნით ადამიანის უფლებების დარღვევის ყველაზე სერიოზული ფორმა და მსოფლიო ფენომენია. 1990-იანი[2] წლების დასაწყისში ის აღიარეს დისკრიმინაციის ფორმად და ისეთმა რეგიონულმა სამართლებრივმა ინსტრუმენტებმა, როგორიცაა მაგალითად სტამბოლის კონვენცია, დაადგინა სავალდებულო სტანდარტები ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციის, მსხვერპლთა დაცვისა და მოძალადეთა სისხლისსამართლებრივი დევნისათვის. ქალთა მიმართ ძალადობის, როგორც გენდერის ნიშნით ჩადენილი ძალადობის, ყოვლისმომცველი განმარტების დახმარებით, აღნიშნული სამართლებრივი ინსტრუმენტები შესაბამის წევრ სახელმწიფოებს აკისრებს ფართო ვალდებულებებს: განსაზღვრონ ქალთა მიმართ ძალადობის ყველა ფორმა და მოახდინონ მათზე რეაგირება, მოხდება ეს საჯარო სივრცეში თუ პირად ცხოვრებაში. უმოქმედობა ითვალისწინებს აღმასრულებელი, საკანონმდებლო და სასამართლო შტოების პასუხისმგებლობას. შესაბამისად, სტამბოლის კონვენცია წევრ სახელმწიფოებს ავალდებულებს, გამოიჩინონ სათანადო გულისხმიერება, რათა თავიდან აიცილონ, გამოიძიონ, დასაჯონ და ზიანი აანაზღაურონ კონვენციით გათვალისწინებული ძალადობრივი ქმედებებისთვის, რომლებსაც ფიზიკური პირები ჩადიან.

8. სტამბოლის კონვენცია გვთავაზობს სამართლებრივად სავალდებულო სტანდარტთა განსაკუთრებით დეტალურ ჩამონათვალს, რომელიც არის როგორც ყველაზე ახალი, ასევე, ყველაზე ყოვლისმომცველი ამ სფეროში. ის ქალთა მიმართ ძალადობას განმარტავს როგორც ადამიანის უფლების დარღვევასა და ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ფორმას; განსაზღვრავს, რომ ეს ტერმინი „გულისხმობს გენდერული ნიშნით ჩადენილი ძალადობის ყველა იმ აქტს, რომლებსაც შედეგად მოჰყვება ან შეიძლება მოჰყვეს ქალებისთვის ფიზიკური, სექსუალური, ფსიქოლოგიური ან ეკონომიკური ზიანის ან ტანჯვის მიყენება, მათ

2. 1992 წელს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტმა (CEDAW კომიტეტი) მიიღო ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ ზოგადი რეკომენდაცია No. 19, რომელიც გენდერის ნიშნით ჩადენილ ძალადობას დისკრიმინაციის ფორმად აღიარებს.

შორის, ასეთი აქტების ჩადენის მუქარა, იძულება ან თავისუფლების თვითნებური აღკვეთა, იმის მიუხედავად, თუ სად ხდება ეს – საზოგადოებრივ თუ პირად ცხოვრებაში". ის ასევე განმარტავს ოჯახში ძალადობას, როგორც „ფიზიკური, სექსუალური, ფსიქოლოგიური თუ ეკონომიკური ძალადობის ყველა აქტს, რომლებიც ხდება ოჯახში თუ შინაურ წრეში, ყოფილ ან ამჟამინდელ მეუღლეებსა თუ პარტნიორებს შორის, მიუხედავად იმისა, დამნაშავე პირი მსხვერპლთან ერთად ერთ საცხოვრებელში ცხოვრობს თუ არა", ასევე, მოითხოვს იმის აღიარებას, რომ ეს, უპირატესად, გენდერული ფენომენია.

9. GREVIO მხარს უჭერს ქალთა უფლებებზე მომუშავე სხვა დამოუკიდებელი ორგანოების მოსაზრებას, რომ გენდერის ნიშნით ჩადენილი ძალადობა გავლენას ახდენს ქალებზე მთელი მათი ცხოვრების მანძილზე[3]; ის არის როგორც მიზეზი, ასევე შედეგი ისტორიულად ფესვგადგმული უთანასწორობისა, რომელიც არსებობს ქალებსა (გოგონებს) და კაცებს (ბიჭებს) შორის; ეს არის ძალადობა, რომელსაც ჩადიან საზოგადოებაში ქალისა და კაცის მიმართ არსებული სტერეოტიპების, სოციალური ნორმების, მასკულინობის კონცეფციისა და ქალთა არასრულფასოვნების გაგრძელების მიზნით ან შედეგად. ქალებმა და გოგონებმა გენდერის ნიშნით ჩადენილი ძალადობა შეიძლება განიცადონ მათი ცხოვრების ყველა ეტაპზე, მათ შორის, ოჯახსა თუ ინტიმურ ურთიერთობაში, მეგობრებისა და ნაცნობების მხრიდან, მათ სანაცნობო წრეში, სამუშაო ადგილას, მათ შორის, დისტანციური მუშაობის პლატფორმების გზით, განათლებაში, სპორტში, დასვენებისას, პოლიტიკაში, ჯანდაცვის სერვისების ძიებისას, მიგრაციისას და ბევრ სხვა გარემოში.

10. უკვე მრავალი წელია, გოგონებისა და ქალების მიმართ სხვადასხვა გარემოში გენდერის ნიშნით ჩადენილი ძალადობა გამარტივდა ან გახშირდა ტექნოლოგიებით, უფრო კონკრეტულად კი, მათი გამოყენებით ონლაინ და ციფრულ სივრცეში. საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებმა (ICT) აქამდე არნახული მასშტაბი შესძინა ქალთა მიმართ ძალადობას. 2020 წლის Covid-19-ის პანდემიამ კი კიდევ უფრო გააღრმავა არსებული პრობლემა. ქალთა მიმართ ონლაინ ან ტექნოლოგიის გამოყენებით ძალადობას GREVIO განიხილავს ძალადობის სხვა ფორმების გაგრძელებად, რომელიც აზიანებს და შემაშფოთებელ ნიშნულამდე ამძაფრებს გოგონებისა და ქალების მიმართ გენდერის ნიშნით ჩადენილი ძალადობის გამოცდილებას.

11. მიუხედავად იმისა, რომ ქალების მსგავსად, კაცებმაც შეიძლება გამოსცადონ ძალადობა და შევიწროება, ქალების შემთხვევაში მეტად სავარაუდოა, რომ გახდნენ განმეორებითი ან ძალადობის უფრო მძიმე ფორმების, მათ შორის, სექსუალური ძალადობის, მსხვერპლნი. ასევე, ისინი უფრო ხშირად განიცდიან განმეორებით ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ და ემოციურ შევიწროებას ან ძალადობას, რომელიც იწვევს სხვადასხვა დაზიანებას ან სიკვდილს, მათ შორის, ინტიმური პარტნიორის მხრიდან.

12. ქალთა მიმართ გენდერის ნიშნით ჩადენილი ძალადობის ციფრული ფორმები განსაკუთრებით აშკარაა იმ ქალებისა და გოგონების შემთხვევაში,

3. Committee on the Elimination of Discrimination against Women (2017), General Recommendation No. 35 on gender-based violence against women, updating General Recommendation No. 19, ხელმისაწვდომია ბმულზე: https://tbinternet.ohchr.org/Treaties/CEDAW/Shared%20Documents/1_Global/ CEDAW_C_GC_35_8267_E.pdf.

რომლებიც რისკის ქვეშ არიან ან უკვე ექვემდებარებიან დისკრიმინაციის სხვა ფორმას. ის შეიძლება გამწვავდეს ისეთი ფაქტორებით, როგორიცაა შეზღუდული შესაძლებლობა, სექსუალური ორიენტაცია, პოლიტიკური კუთვნილება, რელიგია, სოციალური წარმომავლობა, მიგრაციის სტატუსი ან ცნობადობა.[4] ციფრულ სფეროში ქალთა მიმართ ჩადენილ გენდერულ ძალადობას სერიოზული გავლენა აქვს ქალებისა და გოგონების ცხოვრებაზე, მათ ფსიქოლოგიურ და ფიზიკურ ჯანმრთელობაზე, საარსებო საშუალებებზე, ფიზიკურ უსაფრთხოებასა და რეპუტაციაზე.

13. გარდა ამისა, მას აქვს მძიმე შედეგები ქალთა ონლაინ მონაწილეობით უფლებებზე. ქალები ხშირად ხდებიან სიძულვილის შემცველი შეურაცხყოფის მსხვერპლნი, რაც ბევრ მათგანს აიძულებს, უარი თქვას ჩართულობაზე, მათ შორის, საკუთარი შეხედულებების გამოხატვაზე ონლაინ პლატფორმაზე. ეს განსაკუთრებით პრობლემურია ქალ და გოგონათა უფლებადამცველებისთვის, ჟურნალისტებისა და პოლიტიკოსებისათვის, ასევე, სოციალური მედიის ინფლუენსერებისთვის, სოციალურ მედიასა და/ან საზოგადოებაში აქტიური ქალებისთვის. ქალთა და გოგონათა მიმართ ციფრულ სფეროში ძალადობა ახშობს მათ ხმასა და პერსპექტივას, ჩაერთონ საჯარო დისკუსიებში. GREVIO მიიჩნევს,

4. CEDAW კომიტეტის No. 28 ზოგადი რეკომენდაცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის მე-2 მუხლის მიხედვით წევრი სახელმწიფოების ძირითად ვალდებულებებზე, ზოგადი რეკომენდაცია No.33 ქალებისთვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობაზე და ზოგადი რეკომენდაცია No. 35 ქალთა მიმართ გენდერის ნიშნით ჩადენილ ძალადობაზე, განახლებული ზოგადი რეკომენდაცია No. 19 ადასტურებენ, რომ ქალთა დისკრიმინაცია განუყოფლად უკავშირდება სხვა ფაქტორებსაც, რომელიც მათ ცხოვრებაზე ახდენს გავლენას. CEDAW კომიტეტის თანახმად, აღნიშნული ფაქტორები შეიძლება შეიცავდეს ეთნიკურობას/წარმომავლობას, ადგილობრივ ან უმცირესობის სტატუსს, კანის ფერს, სოციო-ეკონომიკურ სტატუსს და/ან კასტას, ენას, რელიგიას ან რწმენას, პოლიტიკურ მოსაზრებას, ეროვნულ წარმომავლობას, ოჯახურ ან/და მშობლის სტატუსს, ასაკს, ქალაქში/სოფელში ცხოვრებას, ჯანმრთელობის მდგომარეობას, შეზღუდულ შესაძლებლობას, საკუთრების ფლობას, ლესბოსელობას, ბისექსუალობას, ტრანსგენდერობას ან ინტერსექსს, გაუნათლებლობას, ქალთა ტრეფიკინგს, შეიარაღებულ კონფლიქტს, თავშესაფრის ძიებას, ლტოლვილად ყოფნას, იძულებით გადაადგილებას, მოქალაქეობის არქონას, მიგრაციას, ოჯახის უფროსობას, ქვრივად ყოფნას, აივ/შიდსით ცხოვრებას, თავისუფლების აღკვეთას, პროსტიტუციაში ჩართულობას, გეოგრაფიულ სიშორეს და საკუთარი უფლებებისთვის მებრძოლი ქალების, მათ შორის, უფლებადამცველების, სტიგმატიზებას. იქიდან გამომდინარე, რომ ქალები განიცდიან დისკრიმინაციის განსხვავებულ და ურთიერთგადამკვეთ ფორმებს, რასაც აქვს დამამძიმებელი უარყოფითი გავლენა, გენდერის ნიშნით ჩადენილმა ძალადობამ ზოგ ქალზე შეიძლება განსხვავებული ხარისხით და ფორმით იმოქმედოს. ამიტომ საჭიროა შესაბამისი სამართლებრივი და პოლიტიკური რეაგირება. GREVIO-ს საბაზისო შეფასების ანგარიშმა გამოავლინა რამდენიმე ხარვეზი სტამბოლის კონვენციის დებულებათა დისკრიმინაციის გარეშე შესრულების მხრივ (როგორც ეს გათვალისწინებულია მე-4 (3) მუხლით). ასევე შენიშნა, რომ არ არსებობს მოწყვლადი ჯგუფის წარმომადგენელ ქალთა საჭიროებებზე მორგებული ეფექტიანი ზომები. შეფასების ანგარიში აღნიშნავს, რომ ძალადობის მსხვერპლი ქალები მოწყვლადი ჯგუფებიდან გამუდმებით აწყდებიან ბარიერებს კონვენციის გამოყენებისას, ასევე განიცდიან დისკრიმინაციას დაცვასა და დახმარებაზე ხელმისაწვდომობისას (ქალები შეზღუდული შესაძლებლობებით, ეროვნული უმცირესობების, მათ შორის, ბოშების წარმომადგენლები, LBTI (ლესბოლესი, ბისექსუალი, ტრანსგენდერი, ინტერსექსი) პირები, სოფლად მცხოვრები ქალები, მიგრანტები, თავშესაფრის მაძიებლები და ლტოლვილები, ბინადრობის ნებართვის არმქონე ქალები, დამოკიდებულების მქონე და პროსტიტუციაში ჩართული ქალები).

რომ ეს არის ძალადობა ქალთა მიმართ გენდერის ნიშნით, ამასთან, ქალთა საერთაშორისო კანონმდებლობით დაცული სხვა უფლებების უგულებელყოფა.

14. 2016 წლიდან GREVIO მონიტორინგს უწევს წევრი სახელმწიფოების მიერ სტამბოლის კონვენციის განხორციელების პროცესს. საბაზისო შეფასების პროცედურის გზით, ის სრულად აფასებს კონვენციის იმპლემენტაციას და გამოვლენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად გასცემს შეთავაზებებსა და რეკომენდაციებს. მუშაობის პროცესში, GREVIO უფრო და უფრო მეტ ყურადღებას აქცევს ციფრულ განზომილებაში ქალთა და გოგონათა მიმართ გენდერის ნიშნით ჩადენილი ძალადობის გამოცდილებებს.

15. აქამდე შეფასებულ რამდენიმე წევრ სახელმწიფოში, GREVIO-მ გამოავლინა, თუ რა ნაბიჯები გადადგეს სახელმწიფოებმა ონლაინ და ციფრულ სფეროში ქალთა მიმართ ძალადობის გაზრდილი შემთხვევების წინააღმდეგ. ძალისხმევა მიმართული იყო, მაგალითად, ცნობიერების ამაღლებასა და გამოსახულებაზე დაფუძნებული ძალადობის ან სექსუალიზებული ბულინგის პრევენციაზე ახალგაზრდა თაობაში. სხვაგან აქცენტი კეთდებოდა ახალი სისხლისსამართლებრივი დანაშაულის განმარტების დანერგვაზე, რომელიც ზუსტად ასახავდა ონლაინ ჩადენილი დანაშაულის ზიანს. კვლევამ და ეროვნულმა გამოცდილებამ აჩვენა, რომ მტკიცებულებათა შესაგროვებლად სპეციალისტის ექსპერტიზა და ტექნოლოგიური საშუალებები ყოველთვის ხელმისაწვდომი არ არის სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლებისა და სისხლის სამართლის სისტემის სხვა წარმომადგენლებისთვის ან ზოგჯერ ამის საჭიროებაც არ არის.[5]

16. 1GREVIO აღნიშნავს, რომ იქ, სადაც არსებობს შესაბამისი კანონმდებლობა, ონლაინ ან ტექნოლოგიის დახმარებით ჩადენილი ძალადობისა და ზიანის აღიარებისა თუ სანქცირებისას, ძირითადი ფოკუსი კეთდება ადამიანის უსაფრთხოების, რეპუტაციისა და საკუთრების დაცვაზე. ბევრი შიდა კანონმდებლობა ვერ ასახავს ამგვარი ძალადობის მნიშვნელოვან შედეგებს, მათ შორის, სოციალურ, ეკონომიკურ, ფსიქოლოგიურ და მონაწილეობით ზიანს. ძალიან ცოტა განიხილავს და კონკრეტულად ეხმიანება გოგონებისა და ქალების ამ რთულ გამოცდილებას და არ აყენებს მას ქალთა მიმართ ძალადობის უწყვეტ კონტექსტში, რომელსაც ისინი ექვემდებარებიან ცხოვრების ყველა სფეროში, მათ შორის, ციფრულ განზომილებაში.

17. 1მსჯელობა საინფორმაციო და კომუნიკაციების ტექნოლოგიებზე, მონაწილეობაზე, ხელმისაწვდომობის უფლებებზე, ტექნოლოგიურ და ონლაინ უსაფრთხოებაზე არ მოიცავს დისკუსიას გენდერის ნიშნით ჩადენილ ქალთა მიმართ ძალადობაზე, მიუხედავად ფართო გავრცელებისა. ანალოგიურად, გენდერის ნიშნით ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევებზე ეროვნული რეაგირება იშვიათად ფარავს ამ ძალადობის ციფრულ განზომილებას. ეს განსაკუთრებით გამოხატულია ოჯახში ძალადობის კონტექსტში. აღნიშნული დუალიზმი აისახება საკანონმდებლო ჩარჩოებში საერთაშორისო და ევროპულ დონეზე, რომელიც არეგულირებს ხელმისაწვდომობის უფლებებს, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებსა და ონლაინ უსაფრთხოებას ისე,

5. Council of Europe (2018a),"Mapping study on cyberviolence", Cybercrime Convention Committee, Working Group on cyberbullying and other forms of online violence, especially against women and children(CBG), ხელმისაწვდომია ბმულზე: https://rm.coe.int/t-cy-mapping-study-on-cyberviolence-final/1680a1307c.

რომ არ აღიარებს გენდერის ნიშნით ქალთა მიმართ ჩადენილ ძალადობას. ამავდროულად, ქალთა უფლებების შესახებ საერთაშორისო და ევროპული სამართლებრივი ნორმები კონკრეტულად არ ითვალისწინებს ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის ციფრულ განზომილებას, რაც წარმოშობს (სინამდვილეში არარსებულ) შეუსაბამობას.

18. წინამდებარე ზოგადი რეკომენდაციით, GREVIO ცდილობს ამ ორი მსჯელობის დაკავშირებას: ქალთა და გოგონათა მიმართ ციფრულ სივრცეში ძალადობა ცალსახად არის ქალთა მიმართ გენდერის ნიშნით ჩადენილი ძალადობა, რომელსაც ფარავს სტამბოლის კონვენცია. GREVIO-ს სურს, ამჟამინდელ და მომავალ წევრ სახელმწიფოებს შესთავაზოს სტამბოლის კონვენციის იმგვარი განმარტება, რომ აჩვენოს ამ რეკომენდაციის რელევანტურობა ციფრულ განზომილებაში ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობასთან. ეს რეკომენდაცია მიზნად ისახავს ციფრულ სფეროში ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებული ძირითადი ტერმინებისა და კონცეფციის განმარტებას, ამასთან, აღნიშნული ფენომენის პრევენციისა და აღკვეთისთვის რეკომენდაციების გაცემას სტამბოლის კონვენციის ოთხი სვეტის გათვალისწინებით (4 Ps). ეს სვეტებია: პრევენცია, დაცვა, სისხლისსამართლებრივი დევნა და კოორდინირებული პოლიტიკა.

19. სტამბოლის კონვენცია გვთავაზობს მნიშვნელოვან საკანონმდებლო ბაზას ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის ციფრულ განზომილებაში პრევენციისა და აღკვეთისთვის, თუმცა მას ავსებს სხვა რელევანტური ხელშეკრულებებიც, როგორიცაა, მაგალითად, ევროპის საბჭოს კონვენცია (ბუდაპეშტის კონვენცია) კიბერდანაშაულზე. ბუდაპეშტის კონვენცია გვთავაზობს სამართლებრივად სავალდებულო სტანდარტების ყოვლისმომცველ ნაკრებს კიბერძალადობის ასპექტების კრიმინალიზებისთვის, მტკიცებულებათა დასაცავად და საერთაშორისო თანამშრომლობაში ჩასართავად, ქალთა მიმართ ონლაინ ძალადობის გამოსაძიებლად და სისხლისსამართლებრივი დევნისთვის. ასევე, სამართლებრივად არასავალდებულო მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec(2019)1 წევრი ქვეყნებისთვის სექსიზმის პრევენციისა და აღმოფხვრის შესახებ[6], რომელიც შეიცავს ონლაინ სექსისტური სიძულვილის ენისადმი მიძღვნილ სპეციალურ სექციას. ასევე თანაბრად რელევანტურია რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ევროპული კომისიის (ECRI) ზოგადი პოლიტიკის რეკომენდაცია სიძულვილის ენის აღმოფხვრის შესახებ[7].

20. გარდა ამისა, GREVIO ყურადღებას ამახვილებს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის განმარტებისას მიღწეულ პროგრესზე, რომლის მიხედვითაც ქალთა მიმართ ძალადობის ციფრული ფორმა აღიარებულია პირადი ცხოვრების უფლების დარღვევად. საქმეში *ბუტურუგა რუმინეთის წინააღმდეგ*[8] ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ პირველად აღიარა კიბერძალადობა.

6. Council of Europe (2019), Recommendation CM/Rec(2019)1 of the Committee of Ministers to member States on preventing and combating sexism, ხელმისაწვდომია ბმულზე: https://rm.coe.int/CoERMPublicCommonSearchServices/DisplayDCTMContent?documentId=090000168093b26a.
7. ECRI (2015), ECRI General Policy Recommendation No. 15 on Combating Hate Speech, ხელმისაწვდომია ბმულზე: https://rm.coe.int/ecri-general-policy-recommendation-no-15-on-combating-hate-speech/16808b5b01.
8. *Buturugă v. Romania*, No. 56867/15, 11 თებერვალი 2020.

საქმე ეხებოდა ბრალდებებს ოჯახში ძალადობასა და ელექტრონული მიმოწერის კონფიდენციალურობის დარღვევაზე განმცხადებლის ყოფილი ქმრის მიერ, რომელიც ჩიოდა ამ ტიპის ძალადობის მსხვერპლთა დაცვის სისტემის ხარვეზებზე.

21. ონლაინ სიძულვილსა და სექსუალურ ძალადობაზე, ასევე საჯარო სივრცეებში ქალთა შევიწროებაზე ყურადღების გამახვილების მიზნით, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ (PACE) გამოსცა ორი რეზოლუცია: კიბერდისკრიმინაციასა და ონლაინ სიძულვილზე[9] და ქალთა მიმართ სექსუალური ძალადობისა და საჯარო სივრცეებში მათი შევიწროების შესახებ[10]. ანალოგიურად, ევროპის საბჭოს გენდერული თანასწორობის სტრატეგიამ ხაზი გაუსვა ქალთა მიმართ ძალადობის (როგორც ონლაინ, ისე ფიზიკურად) წინააღმდეგ ბრძოლის საჭიროებას გენდერული სტერეოტიპებისა და სექსიზმის აღმოფხვრის მეშვეობით - მათ შორის, სექსისტური სიძულვილის ენის, ძალადობრივი და სექსუალური ხასიათის ონლაინ მუქარის აღმოფხვრით, განსაკუთრებით, სოციალური მედიის პლატფორმებზე[11].

9. Council of Europe (2017a), Parliamentary Assembly Resolution on ending cyberdiscrimination and online hate, ხელმისაწვდომია ბმულზე: http://assembly.coe.int/nw/xml/XRef/Xref-XML2HTML-en. asp?fileid=23456.
10. Council of Europe (2017b), Parliamentary Assembly Resolution on putting an end to sexual violence and harassment of women in public space, ხელმისაწვდომია ბმულზე: http://assembly.coe.int/ nw/xml/XRef/Xref-XML2HTML-en.asp?fileid=23977&lang=en.
11. Council of Europe (2018b), Council of Europe Gender Equality Strategy 2018-2023, ხელმისაწვდომია ბმულზე: https://rm.coe.int/prems-093618-gbr-gender-equality-strategy-2023-web-a5/16808b47e1.

ქალთა მიმართ ძალადობის ციფრული განზომილება: კონცეფცია და ტერმინოლოგია

22. ქალთა მიმართ ძალადობის ციფრული განზომილება მოიცავს ონლაინ და ტექნოლოგიის გამოყენებით ჩადენილ ქმედებათა ფართო სპექტრს, რომელიც გოგონათა და ქალთა მიმართ გენდერის გამო ჩადენილი უწყვეტი ძალადობის ნაწილია. მათ შორისაა ოჯახში ძალადობაც - გენდერის ნიშნით ჩადენილი ძალადობის ლეგიტიმური და თანაბრად საზიანო პრაქტიკა, რომელსაც ქალები და გოგონები ფიზიკურად განიცდიან.

23. ქალთა მიმართ ძალადობის ციფრული განზომილების კონცეფცია, GREVIO-ს გაგებით, მოიცავს როგორც ონლაინ ასპექტებს (ხილულ თუ ბნელ ინტერნეტ-გვერდებზე ხელმისაწვდომ მონაცემებს და ჩადენილ ქმედებებს, მათ შორის, ინტერნეტშუამავლების მეშვეობით), ასევე, საზიანო ქცევას ქალთა და გოგონათა მიმართ ტექნოლოგიის გამოყენებით (ტექნოლოგიისა და საკომუნიკაციო მოწყობილობების, მათ შორის, კომპიუტერული აპარატურისა და პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებით ჩადენილ ქმედებებს). ინტერნეტშუამავლები არიან სუბიექტები, რომლებიც ხელს უწყობენ ინტერნეტში ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შორის ურთიერთობას, სხვადასხვა ფუნქციისა თუ სერვისის შეთავაზებითა და მიწოდებით[12] და მოიცავენ ინტერნეტ სერვისპროვაიდერებს (ISPs), საძიებო სისტემებს და სოციალური მედიის პლატფორმებს. ტექნოლოგიური ხელსაწყოები, რომლებიც შეიძლება ბოროტად გამოიყენონ მოძალადეებმა მსხვერპლთა თვალთვალის, შევიწროების, მეთვალყურეობისა და კონტროლის მიზნით, შეიძლება იყოს სმარტფონი, კამერა და სხვა ჩამწერი მოწყობილობები, გლობალური პოზიციონირების სისტემები (GPS) ან სატელიტური ნავიგატორები. ასევე, ინტერნეტთან დაკავშირებული სხვა მოწყობილობები,

12. Council of Europe (2018c), Recommendation CM/Rec(2018)2 of the Committee of Ministers to member States on the roles and responsibilities of internet intermediaries, ხელმისაწვდომია ბმულზე: https://search.coe.int/cm/Pages/result_details.aspx?ObjectID=0900001680790e14.

რომლებმაც შეიძლება ხელი შეუწყოს ძალადობას. ასეთებია: ჭკვიანი საათები, ფიტნესაქტივობის აღმრიცხველები და სახლის ჭკვიანი მოწყობილობები, როგორიცაა სფაივეარი (spyware) და სხვა აპლიკაციები.

24. ტერმინი „ქალთა მიმართ ძალადობის ციფრული განზომილება“ გამოიყენება იმის ხაზგასასმელად, რომ ეს საზიანო ქმედება არაპროპორციულად ეხება გოგონებსა და ქალებს, ამასთან, არის გენდერის ნიშნით ჩადენილი ძალადობისას მათ გამოცდილებათა ცენტრალური ელემენტი. ამ ტიპის ძალადობა ეფუძნება ქალთა უთანასწორობისა და კაცთა უფლებამოსილების იმავე კონტექსტს, რასაც რეალურ ცხოვრებაში გოგონებისა და ქალების ფსიქოლოგიური, სექსუალური და ფიზიკური ძალადობის გამოცდილება.

25. GREVIO ასევე აღნიშნავს, რომ ქალთა მიმართ ძალადობის სხვადასხვა ფორმა და ოჯახში ძალადობა - ციფრულ სფეროში თუ ფიზიკურ სამყაროში - არ არის ურთიერთგამომრიცხავი და ხშირად ემთხვევა ერთმანეთს, რაც ამძაფრებს ძალადობის ტრავმულ ზემოქმედებას და ზოგჯერ მსხვერპლის ფიზიკურ უსაფრთხოებასაც ემუქრება. ამდენად, აუცილებელია რომ ფიზიკური და სექსუალური ძალადობისას, არ გამოგვრჩეს ძალადობის ციფრული განზომილებაც, განსაკუთრებით, ინტიმური პარტნიორის მხრიდან. ძალადობის ციფრული განზომილება შეიძლება იყოს ფიზიკური და სექსუალური ძალადობის, ადევნების და შევიწროების წინმსწრები ან გაგრძელება. თუმცა ის ასევე შეიძლება იყოს სექსუალიზებული და გენდერზე დაფუძნებული ძალადობის გამოხატულება, მათ შორის, ინტიმური პარტნიორის მხრიდან ძალადობის კონტექსტში, გოგოსა და ქალის დასჯის, გაჩუმების, დამცირებისა და ტრავმირების მიზნით. მართლაც, ტექნოლოგია შეიძლება ბოროტად გამოიყენონ მოძალადეებმა, რათა კიდევ უფრო გააძლიერონ იძულებითი და მაკონტროლებელი ქცევა მათ ყოფილ ან ამჟამინდელ პარტნიორებზე, რაც საბოლოოდ ზრდის მსხვერპლთა შიშს, შფოთვას და ბოლოს მეგობრებისა თუ ოჯახის წევრებისგან იზოლირებით სრულდება. შესაბამისად, კიბერძალადობასთან დაკავშირებული ფართო გენდერული ნიშნის უგულებელყოფა ნიშნავს ქალთა მიმართ ძალადობის სოციალური რეალობის დაკარგვას, რაც მომდინარეობს ქალთა არასრულფასოვნების ან ქალებისა და კაცების სტერეოტიპული როლების იდეიდან.

26. ინტერნეტით მხარდაჭერილი მოწყობილობების, სოციალური მედიისა და ტექნოლოგიების გამოყენების ზრდასთან ერთად, სულ უფრო იმატებს ქალთა მიმართ ძალადობა ონლაინ და ციფრულ სამყაროში. რიგი გამოკითხვები და კვლევები ხაზს უსვამს პრობლემის მასშტაბს: მაგალითად, ევროკავშირის ფუნდამენტური უფლებების სააგენტოს კვლევამ ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ (2014) აჩვენა, რომ ევროკავშირში ქალების 14%-ს განუცდია ადევნების შეურაცხმყოფელი ფორმა და მუქარის შემცველი კომუნიკაცია 15 წლის ასაკიდან[13]. Women's Aid-ის მიერ მომზადებული ანგარიში აჩვენებს, რომ ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა 45%-ს ურთიერთობისას განუცდია რაიმე სახის ონლაინ ძალადობა, ხოლო 48%-მა აღნიშნა, რომ ურთიერთობის დასრულების შემდეგ მათი ყოფილი პარტნიორის მხრიდან განუცდიათ ონლაინ ძალადობა ან შევიწროება. დაახლოებით 38%-მა განაცხადა ურთიერთობის დასრულების შემდეგ

13. Fundamental Rights Agency (2014), "Violence against women: an EU-wide survey. Main results report", ხელმისაწვდომია ბმულზე: https://fra.europa.eu/en/publication/2014/violence-against-women-eu-wide-survey-main-results-report.

ონლაინ ადევნების შესახებ[14]. Amnesty International-ის მიერ მომზადებული ანგარიშის „ტოქსიკური ტვიტერი“ მიხედვით, რვა ქვეყანაში გამოკითხულთა 25%-მა განაცხადა, რომ გამხდარა მუქარის, მათ შორის, სექსუალური ძალადობის, ფიზიკური ტკივილის, სუიციდის ან ოჯახის მკვლელობის წაქეზების მსხვერპლი ტვიტერზე[15]. და ბოლოს, გოგონათა მიმართ ძალადობაზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაცია - Plan International-ის მიერ ჩატარებულმა გამოკითხვამ აჩვენა, რომ 22 ქვეყანაში 15-დან 22 წლამდე გამოკითხული 14 000 გოგონადან ნახევარს განუცდია კიბერადევნება, კონკრეტული ფოტოებისა და გზავნილების მიღებით ან გამოუცდია ონლაინ ძალადობა[16]. ეს რიცხვები ასახავს პრობლემის სპეციფიკურ ასპექტებს, თუმცა ამ სფეროში ყოვლისმომცველი და ზუსტი მონაცემების ნაკლებობაა, რაც იწვევს ინფორმაციის ფრაგმენტაციას. ეს ფაქტი ხაზს უსვამს ზუსტი მონაცემების შეგროვების საჭიროებას გენდერის ნიშნით ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ, მათ შორის, ონლაინ და ტექნოლოგიის გამოყენებით. ამ საკითხმა Covid-19 პანდემიის გამო უკან გადაინაცვლა, მაგრამ აუცილებელია ძალისხმევის გაძლიერება.

27. ქალთა მიმართ ძალადობის გავრცელებული ფორმაა ძალადობა ციფრულ სფეროში. ამდენად, მას ყურადღებას მიაპყრობენ საერთაშორისო მონიტორინგის ორგანოები და მთავრობათაშორისი ორგანიზაციები. ქალთა მიმართ ძალადობის ციფრული განზომილების ასპექტებს ამა თუ იმ ფორმით ეხება შემდეგი ინსტრუმენტები: ქალთა მიმართ გენდერის ნიშნით ჩადენილი ძალადობის შესახებ ზოგადი რეკომენდაცია No.35, გაეროს CEDAW კომიტეტის განახლებული ზოგადი რეკომენდაცია No.19, გაეროს სპეციალური მომხსენებლის ანგარიში ქალთა მიმართ ძალადობის, მისი გამომწვევი მიზეზებისა და შედეგების შესახებ, რომელიც აანალიზებს ქალთა და გოგონათა მიმართ ონლაინ ძალადობას, ევროპის საბჭოს სამართლებრივი ინსტრუმენტები, მათ შორის, მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია CM/Rec(2019)1 სექსიზმის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ, რეკომენდაცია CM/Rec(2018)2 საკუთარი მანდატის განხორციელებისას ინტერნეტშუამავლების როლისა და პასუხისმგებლობის შესახებ და კიბერდანაშაულის კონვენციის კომიტეტის (T-CY) კიბერძალადობის აღსარიცხი კვლევა. და ბოლოს, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ამ საკითხზე ძალიან ღირებულ ინფორმაციას გვთავაზობს კვლევითი ნაშრომები, როგორიცაა: გენდერული თანასწორობის ევროპული ინსტიტუტის (EIGE) კვლევა ქალებისა და გოგონების მიმართ კიბერძალადობის შესახებ და ევროპარლამენტის მოქალაქეთა უფლებებისა და კონსტიტუციური საკითხების პოლიტიკის დეპარტამენტის მიერ მომზადებული კვლევა ქალთა მიმართ ონლაინ კიბერძალადობისა და სიძულვილის ენის შესახებ.

28. დღესდღეობით არ არსებობს იმ ქცევებისა და ქმედებების უნივერსალური განმარტება/ტიპოლოგია, რომელიც დააჯგუფებდა ქალთა მიმართ ონლაინ და ტექნოლოგიის გამოყენებით ჩადენილი ძალადობის ყველა ფორმას. სამაგიეროდ,

14. Laxton C. and Women's Aid (2014),"Virtual World, Real Fear – Women's Aid report into online abuse, harassment and stalking", ხელმისაწვდომია ბმულზე: https://1q7dqy2unor827bqjls0c4rn-wpengine.netdna-ssl.com/wpcontent/uploads/2015/11/Women_s_Aid_Virtual_World_Real_Fear_Feb_2014-3.pdf
15. Amnesty International (2018), "Toxic Twitter, a toxic place for women", available at www.amnesty. org/en/latest/research/2018/03/online-violence-against-women-chapter-1.
16. Plan International (2020), "Free to be online? A report on girls' and young women's experiences of online harassment", ხელმისაწვდომია ბმულზე: https://plan-international.org/publications/freetobeonline.

არსებობს ონლაინ ჩადენილი ძალადობრივი ქმედებით და ტექნოლოგიის გზით მიყენებული ზიანის განმარტებები. თუმცა ისინი გამოიყენება მონაცვლეობით ან არაზუსტად, რაც იწვევს ფრაგმენტაციას. ამას მეტად აღრმავებს ის, რომ სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეს - რომლებიც დღეს ამ თემის გარშემო ნარატივს ქმნიან - განსხვავებული მიზნები და პერსპექტივები აქვს. ამჟამად გამოყენებულ ტერმინთა უმრავლესობა არ ფარავს ქცევის სრულ სპექტრს და არც გენდერის ნიშანს გამოკვეთს ძალადობაში. ციფრულ სივრცეში, ქალთა მიმართ ჩადენილი ზოგიერთი ძალიან რელევანტური ძალადობის ფორმის აღწერისას, ისინი თითქმის არ ფარავენ ყველა იმ ქმედებას, რომელიც ონლაინ ან ტექნოლოგიის დახმარებით აყენებს ზიანს გოგონებს და ქალებს.

29. GREVIO მიიჩნევს, რომ ტერმინი „ქალთა მიმართ ძალადობა მის ციფრულ განზომილებაში“ ან „ქალთა მიმართ ძალადობის ციფრული განზომილება“ საკმარისად ყოვლისმომცველია, რომ დაფაროს როგორც ონლაინ ძალადობა, ასევე, ტექნოლოგიის გამოყენებით ჩადენილი ძალადობა, მათ შორის, განვითარებადი ტექნოლოგიები. ის ასევე აღიარებს, რომ ციფრულ სივრცეში ქალთა მიმართ ძალადობის ყველა ქმედება არ არის ერთნაირი სიმძიმის და არც ყველა მათგანი აკმაყოფილებს ცალკეულ სახელმწიფოებში სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების პირობას. ტექნოლოგიების განვითარებადი ბუნებისა და საზიანო ქცევის ჩადენის შესაძლებლობათა გათვალისწინებით, ტერმინი „ქალთა მიმართ ძალადობა მის ციფრულ განზომილებაში“ საშუალებას იძლევა გავითვალისწინოთ ისეთ ქცევათა და ქმედებათა ტიპები, რომლებიც ჯერ კიდევ არ გამოვლენილა. ასეთი ინკლუზიური ტერმინოლოგიის მიღება საშუალებას მისცემს წინამდებარე ზოგად რეკომენდაციას, უპასუხოს ქალთა მიმართ ძალადობის ყველა ფორმას, რომელიც ჩადენილია ციფრული საშუალებებით.

30. ინკლუზიური მიდგომა ციფრულ სფეროში ქალთა მიმართ ძალადობის გამოვლენისადმი - რომელიც მოიცავს ინტიმური პარტნიორის მხრიდან ციფრული გზით ჩადენილ ძალადობას - მნიშვნელოვანია არა მხოლოდ მისი განვითარებადი ხასიათის, არამედ, დანაშაულის ჩადენის მასშტაბისა და შედეგების ამპლიტუდის გამო. ტექნოლოგიის ევოლუციისა და ციფრულობის ზრდასთან ერთად, ასეთი შედეგები შეიძლება მარტივად გამრავლდეს. ონლაინ ძალადობის გამოცდილება მნიშვნელოვნად იზრდება, ზოგ შემთხვევაში, მოძალადეთა სიმრავლის ან მავნე სურათებზე ფართო წვდომისა და სიძულვილის შემცველი შინაარსის მქონე მასალის გავრცელების გამო.

31. ციფრული სივრცის მუდმივად განვითარებად ბუნებასა და მასში ჩადენილ ძალადობებზე მიდევნებისთვის, წინამდებარე ზოგადი რეკომენდაციის დანართი გვთავაზობს ციფრულ სივრცეში ყველაზე ხშირად გამოყენებული ტერმინებისა და ამავე სივრცეში ქალთა მიმართ ჩადენილი ძალადობის ყველაზე გავრცელებული ფორმების განმარტებებს. ახალი ტერმინოლოგიისა თუ ციფრულ სფეროში გოგონათა და ქალთა მიმართ ჩადენილი ძალადობის ფორმების გამოჩენასთან ერთად, აღნიშნული დანართი მუდმივად განახლდება.

32. ქალთა მიმართ ძალადობის ამ განსხვავებული, მაგრამ არა ცალკე მდგომი განზომილების განხილვისას, GREVIO გვთავაზობს სტამბოლის კონვენციის ინტერპრეტაციას, მსხვერპლზე ორიენტირებული მიდგომის შესაბამისად, თუმცა ამ მიდგომის შემქმნელები არ განასხვავებდნენ გენდერის ნიშნით ქალთა მიმართ ონლაინ ან ფიზიკურად ჩადენილი ძალადობის გამოცდილებას. ამის

საილუსტრაციოდ, სტამბოლის კონვენციის განმარტებითი ანგარიში ციფრულ სფეროში ჩადენილ ადევნებას განიხილავს როგორც ადევნების კიდევ ერთ ფორმას.

სტამბოლის კონვენციის საფუძველზე წარმოქმნილი ვალდებულებები ციფრულ განზომილებაში გამოხატულ ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებით

33. ქალთა მიმართ ძალადობის ციფრული განზომილება მოიცავს ქცევათა ფართო სპექტრს, რომელსაც ფარავს სტამბოლის კონვენციის 3ა მუხლით განსაზღვრული ქალთა მიმართ ძალადობის განმარტება. აღნიშნული განმარტება მოიცავს „გენდერული ნიშნით ჩადენილი ძალადობის ყველა იმ აქტს, რომლებსაც შედეგად მოჰყვება ან შეიძლება მოჰყვეს ქალებისთვის ფიზიკური, სექსუალური, ფსიქოლოგიური ან ეკონომიკური ზიანის ან ტანჯვის მიყენება, მათ შორის, ასეთი აქტების ჩადენის მუქარა, იძულება ან თავისუფლების თვითნებური აღკვეთა, იმის მიუხედავად, თუ სად ხდება ეს – საზოგადოებრივ თუ პირად ცხოვრებაში“. აღნიშნულ განმარტებას ექვემდებარება ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი ქმედება: თანხმობის გარეშე ფოტოს ან ვიდეოს გავრცელება, იძულება და მუქარა, მათ შორის, გაუპატიურების მუქარა, სექსუალიზებული ბულინგი და დაშინების სხვა ფორმები, ონლაინ სექსუალური შევიწროება, სხვა ადამიანის განსახიერება, ადევნება და ინტერნეტით ადევნება, ფსიქოლოგიური ძალადობა და ციფრული გზით გამოწვეული ეკონომიკური ზიანი.

34. სტამბოლის კონვენციის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი წევრ სახელმწიფოებს ავალდებულებს, მიიღონ საჭირო საკანონმდებლო და სხვა ზომები სათანადო გულისხმიერების გამოსაჩენად, რათა თავიდან აიცილონ, გამოიძიონ, დასაჯონ და აანაზღაურონ ზიანი კონვენციით გათვალისწინებული ძალადობრივი ქმედებებისთვის, რომელსაც ფიზიკური პირები ჩადიან. სათანადო გულისხმიერების ეს კარგად ჩამოყალიბებული კონცეფცია მიღებულია ადამიანის უფლებათა საერთაშორისო და რეგიონული ინსტრუმენტებით, პოლიტიკის დოკუმენტებითა და

იურისპრუდენციით, როგორც საჭირო ზომების და არა შედეგების ვალდებულება, რითაც წევრ სახელმწიფოებს მოეთხოვებათ, მიიღონ საჭირო კანონმდებლობა და პოლიტიკის ჩარჩო ქალთა მიმართ ძალადობის ყველა ფორმის პრევენციისა და მათი ეფექტიანი გამოძიებისთვის, ასევე მოძალადეების პასუხისმგებლობაში მიცემისა და მსხვერპლთა კომპენსაციის მიზნით. ეს არის სტამბოლის კონვენციის დებულება, რომელიც ცენტრალურ როლს თამაშობს გენდერის ნიშნით ქალთა მიმართ ჩადენილი ძალადობის დაუსჯელობის დასასრულებლად, ასევე, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობაში ასეთი ძალადობის მსხვერპლი გოგონებისა და ქალებისათვის. GREVIO მიიჩნევს, რომ აღნიშნული ვალდებულება ფარავს ქალთა მიმართ ძალადობის ყველა გამოხატულებას, მათ შორის, ციფრულ და ტექნოლოგიის დახმარებით ჩადენილ ძალადობებს. ამგვარი ძალადობის მსხვერპლი გოგონებისა და ქალების გამოცდილება მოწმობს, რომ მოძალადეთა პასუხისმგებლობაში მისაცემად ცოტა რამ გაკეთდა. როგორც ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარი აღნიშნავს, ამ საკითხის მიმართ ცნობიერების ნაკლებობის გამო, ქალთა მიმართ ონლაინ ძალადობასა და კიბერშეტევებს ეროვნული ხელისუფლებები არ აღიქვამენ ისე სერიოზულად, როგორც ფიზიკური ძალადობის შემთხვევებს[17]. მეტიც, ხშირად სამართალდამცავ და სასამართლო ორგანოებს არ აქვთ მიღებული სათანადო ტექნიკური სწავლება, რათა შეძლონ ამგვარი ძალადობის შემთხვევების ეფექტიანი გამოძიება და სისხლისსამართლებრივი დევნა.

35. GREVIO იხსენებს, რომ სტამბოლის კონვენციის ერთ-ერთი საკვანძო ამოცანაა ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის ყველა ფორმის მიმართ ერთიანი პასუხი, მთელი სახელმწიფოს მასშტაბით ეფექტიანი, ყოვლისმომცველი და კოორდინირებული პოლიტიკის შეთავაზების გზით, რომელიც მოიცავს უამრავ ზომას და სხვადასხვა სუბიექტის, სააგენტოსა და დაინტერესებული მხარის ჩართვას (მე-7 მუხლი). ამგვარი ერთიანი პასუხისათვის საჭირო იქნება პრევენციის, დაცვისა და სისხლისსამართლებრივი დევნის ზომები. ქალთა მიმართ ძალადობის ციფრულ განზომილებაზე რეაგირებისათვის, მისი კომპლექსური და მრავალგანზომილებიანი ბუნების გამო, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ყოვლისმომცველი პოლიტიკის შემუშავებას, რომელიც ფარავს და საგანგებოდ უპასუხებს ძალადობის ამ ფორმებს მათი პრევენციის, მსხვერპლთა მხარდაჭერისა და დაცვის მიმართულებით. ფიზიკურის მსგავსად, ონლაინ ძალადობაც მყარად ფესვგადგმულია ძალაუფლების დინამიკაში, ეკონომიკურ უთანასწორობასა და პატრიარქალურ მიდგომებში, რომელიც ხელს უწყობს კაცებთან შედარებით ქალთა არასრულფასოვნების იდეის განვითარებას. ამგვარი მავნე რწმენები და დამოკიდებულებები ღრმად არის საზოგადოებაში გამჯდარი, შესაბამისად, მოითხოვს ფართომასშტაბიან ცვლილებებს ცნობიერებაში. ზემოაღნიშნულიდან ცხადია, რომ სტამბოლის კონვენციის წევრ სახელმწიფოებს აქვთ ვალდებულება, ქალთა მიმართ ძალადობის ციფრულ განზომილებას მიმართონ, როგორც მათი ყოვლისმომცველი მიდგომის განუყოფელ ნაწილს, რათა თავიდან აიცილონ ამ ტიპის ძალადობა, უზრუნველყონ მსხვერპლთა დაცვა და მხარდაჭერა, ასევე, მოძალადეების სისხლისსამართლებრივი დევნა.

17. Council of Europe Commissioner for Human Rights (2020),"Stop cyber violence against women and girls", ხელმისაწვდომია ბმულზე: www.coe.int/en/web/commissioner/-/stop-cyberviolence-against-women-and-girls

36. ამის გარდა, ციფრული გზით ჩადენილი ქალთა მიმართ ძალადობის ბევრი ფორმა არის მიზანმიმართული ქცევა, რომლის კრიმინალიზების ვალდებულებაც აქვთ სტამბოლის კონვენციის წევრ სახელმწიფოებს. ეს არის ონლაინ ფსიქოლოგიური ძალადობა (მუხლი 33), ციფრულ სფეროში ჩადენილი ადევნება (მუხლი 34) და სექსუალური შევიწროება ონლაინ ან ციფრული საშუალებებით (მუხლი 40).

სექსუალური შევიწროება ონლაინ

37. სტამბოლის კონვენციის მე-40 მუხლის თანახმად, სექსუალური შევიწროება არის „სექსუალური ხასიათის ნებისმიერი არასასურველი ვერბალური, არავერბალური ან ფიზიკური ქცევა ადამიანის ღირსების შელახვის ან მასზე გავლენის მოხდენის მიზნით, განსაკუთრებით დამაშინებელი, მტრული, დამამცირებელი და შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნით“.

38. წინამდებარე ზოგადი რეკომენდაცია მიიჩნევს, რომ ამ განმარტებაში უნდა შედიოდეს შემდეგი ონლაინ და ციფრული გზით ჩადენილი ქმედებები: 1) თანხმობის გარეშე ფოტოს ან ვიდეოს გაზიარება; 2) ინტიმური ფოტოების ან ვიდეოების გადაღება, წარმოება ან შესყიდვა; 3) ექსპლუატაცია, იძულება და მუქარა; 4) სექსუალიზებული ბულინგი და 5) კიბერფლეშინგი.

(ა) თანხმობის გარეშე პირის შიშველი ან სექსუალური ხასიათის გამოსახულების (სურათის ან ვიდეოს) გავრცელება ან გავრცელებაზე მუქარა არის ფოტოზე დაფუძნებული სექსუალური ძალადობა (რომელიც ასევე ცნობილია „შურისძიების პორნოგრაფიის“ სახელით);

(ბ) ინტიმური გამოსახულებების ან ვიდეოების გადაღება, წარმოება ან შესყიდვა, რომელიც მოიცავს upskirting-სა (ადამიანის თანხმობის გარეშე მისი ტანსაცმლის შიდა ფოტოების/ვიდეოების გადაღება) ან creepshots-ს (ადამიანის თანხმობის გარეშე ფოტოების გადაღება); ასევე, გამოსახულების ციფრულად შეცვლა, სადაც ადამიანის სახე ან ტანი პორნოგრაფიულ ფოტოს ან ვიდეოს ადევს. ეს ასევე ცნობილია „ყალბი პორნოგრაფიის სახელით“ (როგორიცაა „დიფ-ფეიკები“, ხელოვნური ინტელექტის გზით სინთეზური გამოსახულების შექმნა);

(გ) ექსპლუატაცია, იძულება და მუქარა, რომელიც კონვენციის მე-40 მუხლით იფარება და მოიცავს ძალადობის ისეთ ფორმებს, როგორიცაა იძულებითი სექსუალური ხასიათის მიმოწერა, სექსუალური გამოძალვა, გაუპატიურების მუქარა, სექსუალიზებული/გენდერის ნიშნით ადამიანის მაიდენტიფიცირებელი ინფორმაციის გავრცელება, თავის სხვა ადამიანად მოჩვენება და აუთინგი (outing);

(დ) სექსუალური ბულინგი ისეთი ქცევაა, როგორიცაა ჭორების გავრცელება ან მსხვერპლის სავარაუდო სექსუალურ ქცევაზე ჭორაობა, სექსუალური კომენტარების გამოქვეყნება მსხვერპლის პოსტების ან ფოტოების ქვეშ, მსხვერპლის განსახიერება და სექსუალური შინაარსის მასალის გაზიარება ან სხვების სექსუალური შევიწროება, რაც გავლენას ახდენს მათ რეპუტაციასა ან საარსებო წყაროზე, აუთინგი (outing) პიროვნების თანხმობის გარეშე მათი დაშინების, მუქარის ან სხეულის შერცხვენის მიზნით; და

(ე) კიბერფლეშინგი მოიცავს არასასურველი სექსუალური ხასიათის გამოსახულებათა გაგზავნას შეტყობინებების ან გაცნობის აპლიკაციის გზით, ასევე ტექსტების გაგზავნას ბლუთუზის ან ეარდროფის ტექნოლოგიის გამოყენებით.

39. ზოგიერთი ზემოხსენებული ქცევა ცნობილია, როგორც სექსისტური სიძულვილის ენა. როგორც ევროპის საბჭოს სექსიზმის პრევენციისა და აღკვეთის რეკომენდაცია აღიარებს, ეს ქმედებები ხშირად დამამცირებელია და ხელს უწყობს ისეთი სოციალური კლიმატის შექმნას, სადაც ქალები დამცირებულნი, მათი თავმოყვარეობა - დაქვეითებული, ხოლო მათი საქმიანობა და არჩევანი კი შეზღუდულია - მათ შორის, სამსახურში, პირად, საჯარო თუ ონლაინ სივრცეში. სექსისტური ქცევა, როგორიცაა სექსისტური სიძულვილის ენა, ხშირად ხდება ფიზიკური ძალადობისკენ გადადგმული პირველი ნაბიჯი. მან ასევე შეიძლება გააძლიეროს ან წაახალისოს ღიად შეურაცხმყოფელი და მუქარის შემცველი ქმედებები, მათ შორის, სექსუალური შევიწროება, ძალადობა ან გაუპატიურება, რომელსაც ფარავს სტამბოლის კონვენციის მე-40 მუხლი.

ონლაინ და ტექნოლოგიით ხელშეწყობილი ადევნება

40. სტამბოლის კონვენციის 34-ე მუხლი ადევნებას განმარტავს, როგორც „განზრახ ქმედებას, რომელიც ითვალისწინებს პიროვნების მუქარის შემცველ ქმედებაში განმეორებით ჩართვას, რაც იწვევს მის შიშს საკუთარი უსაფრთხოებისთვის“. კონვენციის განმარტებითი ანგარიში დამატებით აზუსტებს ამ განსაზღვრებას და აღიარებს, რომ ტექნოლოგიის გამოყენებით ჩადენილი ადევნება იფარება 34-ე მუხლით:

> მუქარის შემცველი ქმედებები შეიძლება მოიცავდეს პიროვნების მუდმივად ადევნებას, პირთან კომუნიკაციას, რომელსაც ამის სურვილი არა აქვს, ან შეტყობინებას, რომ მას უთვალთვალებენ. აღნიშნული მოიცავს მსხვერპლის ფიზიკურ ადევნებას, მის სამუშაო ადგილას, სპორტულ თუ საგანმანათლებლო დაწესებულებაში გამოჩეას, ასევე მსხვერპლის ადევნებას ვირტუალურ სამყაროში (სასაუბრო ოთახებში, სოციალურ ქსელებში და სხვა). არასასურველ კომუნიკაციაში ჩართვა გულისხმობს ნებისმიერი აქტიური კონტაქტის ძიებას დაზარალებულთან ნებისმიერი ხელმისაწვდომი საშუალებით, მათ შორის, თანამედროვე საკომუნიკაციო საშუალებებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით.

41. ციფრულ სფეროში ჩადენილი ადევნების პრაქტიკა მოიცავს მუქარას (სექსუალური, ეკონომიკური, ფიზიკური და ფსიქოლოგიური ხასიათის), რეპუტაციის დაზიანებას, მსხვერპლის კონტროლსა და მასზე პირადი ინფორმაციის შეგროვებას, პიროვნების მითვისებას, სექსის მოთხოვნას, მსხვერპლის განსახიერებასა და შევიწროებას, რაც მიმართულია მსხვერპლის იზოლირებისკენ. ეს, როგორც წესი, მოიცავს მსხვერპლზე თვალთვალის და ჯაშუშობის ტაქტიკას მათ სხვადასხვა სოციალური მედიის თუ მესიჯების პლატფორმაზე, მათ იმეილებსა და ტელეფონებზე შეღწევას, მსხვერპლის პირად სივრცეზე წვდომის მისაღებად მათ მოწყობილობებზე პაროლის მოპარვას ან გატეხას, ჯაშუშური პროგრამების, მდებარეობის განმსაზღვრელი აპლიკაციებისა ან მათი მოწყობილობების მოპარვის გზით. მოძალადეებს ასევე შეუძლიათ მიითვისონ სხვა პიროვნების იდენტობა და განახორციელონ მსხვერპლზე კონტროლი ინტერნეტთან დაკავშირებული ნივთების (IoT), ჭკვიანი საყოფაცხოვრებო ტექნიკის მეშვეობით.

ფსიქოლოგიური ძალადობის ციფრული განზომილება

42. სტამბოლის კონვენციის 33-ე მუხლი ფსიქოლოგიურ ძალადობას აღწერს როგორც „განზრახ ქმედებას, რომელიც მიმართულია პიროვნების ფსიქოლოგიური ერთიანობის შესუსტებისკენ იძულებისა და მუქარის გზით“. კონვენციის განმარტებითი ანგარიში, დამატებით, განსაზღვრავს:

> დანაშაულის მასშტაბი შემოიფარგლება განზრახ ქმედებით, რომელიც სერიოზულად ასუსტებს და აზიანებს ადამიანის ფსიქოლოგიურ ერთიანობას, ამასთან, ხორციელდება სხვადასხვა გზით და მეთოდით. კონვენცია არ განმარტავს, რას ნიშნავს სერიოზული დასუსტება. ქცევა ამ დებულების ქვეშ რომ განვიხილოთ, აუცილებელია იძულება ან მუქარა. ეს დებულება მიეკუთვნება ქცევათა ერთობლიობას და არა ერთ მოვლენას. მისი მიზანია, დროთა განმავლობაში შეურაცხმყოფელი ქცევის კრიმინალური ბუნების აღქმა, ოჯახში ან მის ფარგლებს გარეთ.

43. ციფრულ სფეროში ჩადენილ ქალთა მიმართ ძალადობის ყველა ფორმას აქვს ფსიქოლოგიური გავლენა და შეიძლება დაკვალიფიცირდეს, როგორც ონლაინ ან ტექნოლოგიის გამოყენებით ჩადენილი ფსიქოლოგიური ძალადობა. ქალთა მიმართ ასეთი ძალადობის თავისებურებები ზრდის მსხვერპლზე გავლენას. გარდა ამისა, ოჯახში ძალადობის კონტექსტში ჩადენილი ფსიქოლოგიური ძალადობა მეტად რადიკალური ხდება, როდესაც ის ტექნოლოგიებთან ერთიანდება. მაგალითად, როდესაც ამჟამინდელი ან ყოფილი პარტნიორი ფლობს მსხვერპლის ინტიმურ სურათებს, ციფრული დომენის დახმარებით ის ახალ განზომილებას იძენს. ანალოგიურად, მოძალადეებს შეუძლიათ ბოროტად გამოიყენონ ტექნოლოგია მსხვერპლის თვალყურის დევნების მიზნით. აღნიშნულ ძალადობის ფორმებს დამანგრეველი ფსიქიკური და ფიზიკური ზიანის მიყენება შეუძლია ქალებისა და გოგონებისთვის.

44. მეტიც, ძალადობის არაკრიმინალიზებულმა ერთეულმა შემთხვევებმა შეიძლეა მიაღწიოს ფსიქოლოგიური ძალადობის ზღვარს, როდესაც ის ერწყმის ხალხის მენტალობას და ინტერნეტის მეშვეობით განმეორებით ხასიათს იძენს: მაგალითად, გამაღიზიანებელი კომენტარი შეიძლება იქცეს კიბერბულინგად, თუ მას ბევრი ადამიანი უერთდება და განმეორებითი ხასიათი აქვს. ამ ტიპის ძალადობას განსაკუთრებით ექვემდებარება ქალების გარკვეული ჯგუფი, რომელშიც შედიან პოლიტიკოსები, ჟურნალისტები და ადამიანის უფლებადამცველი აქტივისტები.

45. არსებობს გარკვეული მსგავსება კიბერბულინგსა და სექსისტურ სიძულვილის ენას შორის, რამაც გარდა 32-ე პუნქტის ქვეშ ჩამოთვლილი შედეგებისა, შეიძლება, ასევე, გამოიწვიოს რესურსის დაკარგვა, თვითდაზიანება ან სუიციდი და ფსიქოლოგიური ძალადობა. ამ ქმედებათა სამიზნე შეიძლება გახდეს ნებისმიერი ქალი, განსაკუთრებით ისინი, ვინც უკვე გამოსცადეს გენდერის ნიშნით ჩადენილი ძალადობა; ისინი, ვინც კაცების მიერ დომინირებულ სფეროში მიაღწიეს წარმატებას (მაგალითად, სპორტსმენები ან ვიდეოთამაშების შემქმნელები), ქალები, რომლებიც ეწინააღმდეგებიან გენდერულ სტერეოტიპებს ან რომლებსაც ურთიერთგადამკვეთი იდენტობა აქვთ და უფრო მეტად შეიძლება დაექვემდებარონ ძალადობას მათი სქესის, გენდერის, რასის, კანის ფერის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, ეროვნული ან სოციალური წარმომავლობის, ეროვნულ უმცირესობასთან ასოცირების,

საკუთრების, დაბადების, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობის, ასაკის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, შეზღუდული შესაძლებლობის, ოჯახური მდგომარეობის, მიგრანტის ან ლტოლვილის სტატუსის ან სხვა სტატუსის გამო. 18-დან 29 წლამდე ახალგაზრდა ქალები უფრო მეტად მიეკუთვნებიან ძალადობის რისკჯგუფს, რადგან უფრო აქტიურები არიან ინტერნეტში, მათ შორის, სოციალურ მედიაში.

46. ონლაინ ფსიქოლოგიურმა ძალადობამ შეიძლება ასევე მიიღოს დაშინების, მსხვერპლსა ან მის ოჯახზე მუქარის, შეურაცხყოფის, შერცხვენისა და ცილისწამების ფორმა. ინტერნეტში აგრეთვე ვხვდებით წაქეზებას სუიციდისა ან თვითდაზიანებისაკენ, რომელიც ასევე არის სპეციფიკური ქცევა და მას ხშირად აძლიერებს ბრბოს მენტალიტეტი ან ანონიმურობა.

47. ფსიქოლოგიური ძალადობის კიდევ ერთი ფორმაა ეკონომიკური ძალადობა, რომელიც განიმარტება, როგორც ქალის მიერ ეკონომიკური რესურსების შეძენის, გამოყენებისა და შენარჩუნების შესაძლებლობის კონტროლი. ეკონომიკური ძალადობა, როგორც წესი, ვლინდება ინტიმური პარტნიორის კონტექსტში და, მსხვერპლის ფიზიკურ ჯანმრთელობაზე უარყოფით გავლენასთან ერთად, იწვევს სიღარიბის რისკსა და ჯანდაცვაზე ხელმისაწვდომობის შემცირებას. ის საფრთხეს უქმნის მსხვერპლის ფინანსურ კეთილდღეობასა და დამოუკიდებლობასაც და, შედეგად, მნიშვნელოვნად აზიანებს მათ ფსიქოლოგიურ ერთიანობას.

48. ციფრულ ფორუმებში ეკონომიკური ძალადობა შეიძლება გამოიხატოს მსხვერპლის საბანკო ანგარიშებისა და ფინანსური აქტივობების კონტროლით ინტერნეტბანკის მეშვეობით, მსხვერპლის საკრედიტო ბარათების ან ფინანსური კონტრაქტების (იჯარა, სესხი, კომუნალური მომსახურება და სხვა) მისი სახელით უნებართვოდ გამოყენებით, რასაც მოჰყვება მისი საკრედიტო რეიტინგის დაზიანება, რადგან მოძალადე საჭირო გადახდებს არ იხდის დროულად ან საერთოდ არ იხდის (ეს განსაკუთრებით ეხება ალიმენტის თანხის გადახდას).

რეკომენდაციები

49. აღნიშნულ საკითხებზე დაყრდნობით, GREVIO ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ ციფრულ სფეროში ჩადენილი ქალთა მიმართ ძალადობა აღიარებული იქნას ფიზიკური ძალადობის გაგრძელებად, რომელიც წარმოადგენს გენდერის ნიშნით ჩადენილ ქალთა მიმართ ძალადობას. ის წევრ ქვეყნებს მოუწოდებს, აღიარონ ონლაინ და ტექნოლოგიის დახმარებით ჩადენილი ძალადობისა და შევიწროების გენდერული ბუნება და მოახდინონ მასზე ყოვლისმომცველი რეაგირება. ამგვარი ყოვლისმომცველი რეაგირებისათვის, GREVIO წევრ სახელმწიფოებს რეკომენდაციას აძლევს, მიიღონ ზომები, რომლებიც ხაზგასმულია პრევენციის, დაცვის, სისხლისსამართლებრივი დევნისა და კოორდინირებული პოლიტიკის ქვემოთ ჩამოთვლილ სფეროებში.

პრევენცია

50. სტამბოლის კონვენცია წევრ სახელმწიფოებს მოუწოდებს, მიიღონ მდგრადი ზომები ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციისთვის, რომელიც მიმართული იქნება მისი გამომწვევი ძირეული მიზეზების აღმოფხვრისკენ, იმ დამოკიდებულებათა, გენდერული როლებისა და სტერეოტიპების შეცვლისკენ, რომელიც ქალთა მიმართ ძალადობას მისაღებს ხდის. სახელმწიფოებმა უნდა აღიარონ ქალთა მიმართ ძალადობის ციფრული განზომილება, როგორც გენდერის ნიშნით ჩადენილი ძალადობის ფორმა, მიიღონ საჭირო საკანონმდებლო და სხვა ზომები, რათა ხელი შეუწყონ და დაიცვან ყველა ადამიანის - განსაკუთრებით, ქალების - ძალადობისგან თავისუფალი ცხოვრების უფლება, როგორც საჯარო, ისე პირად სივრცეში, როგორც ამას მოითხოვს სტამბოლის კონვენციის მე-4 მუხლი.

51. GREVIO წევრ სახელმწიფოებს მოუწოდებს შემდეგი პრევენციული ზომების მიღებისკენ:

(ა) განიხილონ ნებისმიერი არსებული რელევანტური კანონმდებლობის გადახედვის შესაძლებლობა და, საჭიროების შემთხვევაში, მიიღონ ახალი კანონმდებლობა, ქალთა მიმართ ძალადობის ციფრული განზომილების პრევენციის, მისგან დაცვისა და სისხლისსამართლებრივი დევნისთვის, როგორც ამას მოითხოვს სტამბოლის კონვენციისა და სხვა რელევანტური დოკუმენტების, მათ შორის, ბუდაპეშტის კონვენციის სტანდარტები;

(ბ) განახორციელონ ინიციატივები, რომლებიც მიზნად ისახავს გენდერული სტერეოტიპების, სექსისტური დამოკიდებულებებისა და ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრას, როგორც ონლაინ, ისე ფიზიკურად, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის სექსიზმის პრევენციისა და აღმოფხვრის შესახებ CM/Rec(2019)1 რეკომენდაციის შესაბამისად;

(გ) ხელი შეუწყონ გენდერულ თანასწორობას საზოგადოებაში, მხარი დაუჭირონ ქალთა გაძლიერებას და ონლაინ წარმომადგენლობას ციფრული ცნობიერების გაზრდითა და გოგონების თუ ქალების ჩართულობით;

(დ) წაახალისონ საზოგადოების ყველა წევრი, განსაკუთრებით, ბიჭები და კაცები, უგულებელყონ ქალებისა და კაცების მავნე სტერეოტიპები; სანაცვლოდ, იმოქმედონ ჯანსაღი და პატივისცემის გამომხატველი დამოკიდებულებებით ონლაინ სივრცეში;

(ე) დანერგონ ცნობიერების ასამაღლებელი კამპანიები ციფრულ სფეროში ქალთა მიმართ ძალადობის სხვადასხვა ფორმისა და მსხვერპლისთვის ხელმისაწვდომი სერვისების შესახებ, რომლის სამიზნეც იქნებიან ქალები და კაცები, გოგონები და ბიჭები საზოგადოების სხვადასხვა დონეზე. წევრმა სახელმწიფოებმა მხარი უნდა დაუჭირონ ქალთა ორგანიზაციების ძალისხმევას ამ კუთხით, აღიარონ და გამოიყენონ მათი ექსპერტიზა;

(ვ) უზრუნველყონ შესაძლებლობათა სავალდებულო და უწყვეტი გაუმჯობესება, განათლება და ტრენინგი ყველა შესაბამისი პროფესიონალისთვის, მათ შორის და არა მხოლოდ სამართალდამცავი ორგანოებისა და სისხლის სამართლის სფეროს წარმომადგენლებისთვის, სასამართლო ხელისუფლების წევრებისთვის, ჯანდაცვის პროფესიონალებისთვის, თავშესაფრის მოხელეებისთვის, სოციალური სერვისისა და განათლების სფეროს წარმომადგენლებისთვის; აღჭურვონ ისინი შესაბამისი ცოდნით ქალთა მიმართ ძალადობის ციფრულ გამოხატულებაზე, რათა ქალ და გოგონა მსხვერპლებთან იმუშაონ ისე, რომ არ გამოიწვიონ მათი მეორეული ვიქტიმიზაცია და ტრავმირება; სადაც რელევანტურია, მიაწოდონ ინფორმაცია ქალთა მიმართ ძალადობის ციფრულ განზომილებასთან დაკავშირებით არსებულ საკანონმდებლო ჩარჩოსა და საერთაშორისო თანამშრომლობის მექანიზმებზე, ასევე, ელექტრონულ მტკიცებულებათა შეგროვებასა და დაზღვევაზე;

(ზ) ხელი შეუწყონ ციფრული წიგნიერებისა და ონლაინ უსაფრთხოების ფორმალურ კურიკულუმში ჩართვას განათლების ყველა დონეზე. სტამბოლის კონვენციის მე-14 მუხლის შესაბამისად, ხელმისაწვდომი უნდა იყოს სასწავლო მასალები, რომლებიც მოსწავლეებს შესაძლებლობას მისცემს, გაიგონ შემდეგი საკითხები: ქალებისა და კაცების თანასწორობა, არასტერეოტიპული გენდერული როლები, ურთიერთპატივისცემა, პირად ურთიერთობებში კონფლიქტის არაძალადობრივი გადაწყვეტა და ქალთა მიმართ ძალადობა, მათ შორის, ციფრულ განზომილებაში. ეს ინფორმაცია ასევე ხელმისაწვდომი უნდა იყოს ინტელექტუალური და ფიზიკური შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის;

(თ) მოძალადეთა ინტერვენციის არსებულ პროგრამებში ჩართონ ქალთა მიმართ ძალადობის ციფრული გამოხატულების ფორმები, განსაკუთრებით, ინტიმური პარტნიორის მიერ ძალადობის კონტექსტში.

(ი) წაახალისონ ინფორმაციულ და საკომუნიკაციო ტექნოლოგიათა (ICT) სექტორი და ინტერნეტშუამავლები, მათ შორის, სოციალური მედიაპლატფორმები, რათა აქტიური ძალისხმევით გამორიცხონ გენდერული მიკერძოება სხვადასხვა ჭკვიანი პროდუქტის, მობილური ტელეფონის აპლიკაციებისა და ვიდეოთამაშების დიზაინის შექმნისას, ასევე, ხელოვნული ინტელექტის განვითარების პროცესში; შესაბამისად, შექმნან შიდა მონიტორინგის მექანიზმები მსხვერპლზე ორიენტირებული მიდგომის დასანერგად, ამასთანავე, ადვოკატირება გაუწიონ ქალ მომხმარებელთა გამოცდილებისა და პერსპექტივის კარგად გაცნობიერების, განსაკუთრებით, ქალების, რომლებიც შესაძლოა მრავალი ნიშნის მიხედვით დაექვემდებარონ დისკრიმინაციას. აუცილებელია ინტერნეტშუამავლებისა და ტექნოლოგიური კომპანიების წახალისება, რათა ითანამშრომლონ ქალთა მიმართ ძალადობაზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებთან, ცნობიერების ამაღლებისა და სხვა მიმართულებებით; და

(კ) წაახალისონ მედიაორგანიზაციები და ჟურნალისტური გაერთიანებები, რათა პროფესიული ნაბიჯების გადადგმით აღმოფხვრან გენდერული ნიშნით დისკრიმინაცია, მსხვერპლის დადანაშაულების ფენომენი, ასევე, გენდერის ნიშნით ძალადობის მსხვერპლთა და მათი შვილების პირადი ცხოვრების უფლების დარღვევა ნებისმიერ ჟურნალისტურ საქმიანობაში. საჭიროა მეტი ძალისხმევა, მედიასექტორში მამაკაცთა მიერ დომინირებული ძალაუფლების დინამიკის შესაცვლელად.

დაცვა

52. სტამბოლის კონვენცია წევრ სახელმწიფოებს სთხოვს რისკქვეშ მყოფი გოგონებისა და ქალების დაცვას, მსხვერპლისა და მისი შვილებისთვის სპეციალური დახმარების სერვისების შეთავაზებას, მათ შორის, თავშესაფრებით, სატელეფონო ცხელი ხაზებით, გაუპატიურების კრიზისული ან სექსუალური ძალადობის რეფერალური ცენტრებით უზრუნველყოფას. ონლაინ მასალის მუდმივობისა და გავრცელების გამო, საჭიროა განგრძობითი დამცავი ზომების დანერგვა ციფრულ განზომილებაში ქალთა მიმართ ძალადობაზე ეფექტიანი რეაგირებისთვის.

53. GREVIO წევრ სახელმწიფოებს მოუწოდებს შემდეგი დამცავი ზომების გატარებისკენ:

(ა) უზრუნველყონ, რომ ქალთა მიმართ ძალადობასთან დაკავშირებული სამართლებრივი ჩარჩო ეხებოდეს და ფარავდეს ციფრულ განზომილებაში ჩადენილი ძალადობის ყველა ფორმას; პატივი სცენ სტამბოლის კონვენციის მე-5 მუხლით გათვალისწინებულ სათანადო გულისხმიერების პრინციპს და ხელი შეუწყონ მსხვერპლებთან მომუშავე პასუხისმგებელ სააგენტოებს შორის ფორმალურ და არაფორმალურ დიალოგს. რეაგირება იყოს გენდერულად მგრძნობიარე და აერთიანებდეს ქალთა მიმართ ძალადობის ციფრული განზომილების სპეციფიკაციას;

(ბ) განავითარონ და გაავრცელონ ინფორმაცია ციფრულ სფეროში ქალთა მიმართ ჩადენილი ძალადობის მსხვერპლებისთვის ხელმისაწვდომი სამართლებრივი გზებისა და მხარდამჭერი სერვისების შესახებ;

სამართალდამცავ ორგანოებსა და პროკურატურასთან ერთად, შექმნან ელექტრონული და ფიზიკური საჩივრების მექანიზმი, რომელიც მარტივად და დაუყოვნებლივ იქნება ხელმისაწვდომი მსხვერპლისთვის, მათ შორის, ფიზიკური, ინტელექტუალური და ფსიქოლოგიური შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის; აღნიშნული მექანიზმები შესაბამისობაში მოიყვანონ საერთაშორისო და ეროვნულ დონეზე არსებულ მონაცემთა დაცვის რეგულაციებსა და ევროპის საბჭოს მოდერნიზებულ კონვენციასთან პერსონალური მონაცემების ავტომატური დამუშავებისას ფიზიკური პირების დაცვის შესახებ (CETS No. 223);

(გ) მხარდამჭერი სერვისები, მათ შორის, სამართლებრივი და ფსიქოლოგიური კონსულტაციები, გახადონ ხელმისაწვდომი ციფრულ სფეროში გამოვლენილი ქალთა მიმართ ძალადობის ყველა მსხვერპლისთვის, მათ შორის, ოჯახში ძალადობის კონტექსტში; ამ მიზნის მისაღწევად, საჭირო ფინანსური და ადამიანური რესურსით აღჭურვონ ქალთა მხარდამჭერი სერვისების სპეციალისტები და ამ სფეროში მომუშავე სხვა სერვისები, რათა მსხვერპლს შესთავაზონ ერთიანი სერვისი, მათ შორის, სამართლებრივი და ტექნიკური რჩევების სახით, მავნე შინაარსის მქონე ონლაინ მასალის წაშლის შესახებ;

(დ) ტრენინგების გზით, გაზარდონ შესაძლებლობები; ძალადობის მსხვერპლ ქალებს შესთავაზონ საჭირო რესურსები, ზოგადი და სპეციალიზებული მხარდამჭერი სერვისები, მათ შორის, თავშესაფრები და არასაცხოვრებელი საკონსულტაციო სერვისები; ასევე შესთავაზონ დროებითი ეკონომიკური მხარდაჭერა დამოუკიდებლობისა და ავტონომიის, სოციალური და ჯანდაცვის სერვისების მიღების მიზნით, რათა სწორი რეაგირება მოხდეს ქალთა და გოგონათა ციფრულ სფეროში განცდილ ძალადობაზე;

(ე) სტამბოლის კონვენციის 24-ე მუხლის შესაბამისად, საჭირო რესურსითა და ექსპერტიზით, შექმნან ეროვნული დამხმარე სატელეფონო ხაზები, ქალთა მიმართ ძალადობის ციფრულ განზომილებაზე საპასუხოდ და უზრუნველყონ მათი ხელმისაწვდომობა ყველა მსხვერპლისთვის, მიუხედავად იმისა, თუ რა ფაქტორების გამო ექვემდებარებიან ისინი მრავლობით დისკრიმინაციას;

(ვ) გააძლიერონ გენდერული თანასწორობის ორგანოები და სახალხო დამცველის ინსტიტუტი, რომელთაც აქვთ გენდერული თანასწორობისა და დისკრიმინაციის აღკვეთის საკითხებზე მუშაობის მანდატი, რათა ქალთა მიმართ ძალადობის ციფრულ განზომილებაზე რეაგირება მოხდეს სტრუქტურული დისკრიმინაციისა და ქალებისთვის ადამიანის უფლებების რეალიზებისთვის ბარიერების შექმნის გადმოსახედიდან; და

(ზ) წაახალისონ ინტერნეტშუამავლები, მათ შორის, ინტერნეტ სერვისის პროვაიდერები (ISP), საძიებო სისტემები და სოციალური მედიის პლატფორმები, რათა მათ ადამიანის უფლებების დასაცავად უზრუნველყონ სტამბოლის კონვენციის ფარგლებში შემავალი შინაარსის (კონტენტის) მყარი მოდერაცია, პროფილის ან თავად შინაარსის წაშლის გზით, სხვადასხვა ენაზე, გამჭვირვალეობის პრინციპის დაცვით, რომელიც იცავს ყველა ადამიანის უფლებებს, მათ შორის, ქალების უფლებას, იცხოვრონ

ძალადობისაგან თავისუფალ გარემოში; ამასთან, უზრუნველყონ მომხმარებლებისთვის ადვილად ხელმისაწვდომი სახელმძღვანელოს შემუშავება, რომელიც მათ საშუალებას მისცემთ, მარტივად აღმოაჩინონ შეურაცხმყოფელი შინაარსი და მოითხოვონ მისი წაშლა.

სისხლისსამართლებრივი დევნა

54. სტამბოლის კონვენცია წევრ სახელმწიფოებს სთხოვს, უზრუნველყონ კონვენციის შესაბამისად დადგენილ დანაშაულებათა ეფექტიანი გამოძიება და სისხლისსამართლებრივი დევნა.

55. GREVIO წევრ სახელმწიფოებს მოუწოდებს, მიიღონ შემდეგი ზომები ქალთა მიმართ გენდერული ნიშნით ჩადენილ დანაშაულებათა სისხლისსამართლებრივი დევნისა და დასჯისთვის:

(ა) აღჭურვონ სამართალდამცავი ორგანოები და სისხლის სამართლის სფეროს სხვა წარმომადგენლები საჭირო ადამიანური, ფინანსური და ტექნიკური რესურსით ქალთა მიმართ ძალადობის ციფრული განზომილების უფრო ეფექტიანი გამოძიებისა და დევნისთვის, სტამბოლის კონვენციის მე-5 მუხლის - სათანადო გულისხმიერების -ვალდებულებათა შესაბამისად. ეს შეიძლება მოიცავდეს სპეციალური ქვედანაყოფის/ექსპერტიზის შექმნას და აღნიშნული დანაყოფების კიბერდანაშაულის არსებულ განყოფილებებთან თანამშრომლობისა და კოორდინაციის ხელშეწყობას.

(ბ) საჭირო ექსპერტული ცოდნითა და რესურსებით აღჭურვის გზით, გაზარდონ სისხლის სამართლის მართლმსაჯულებისა და სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელთა შესაძლებლობები, რათა არსებული სამართლებრივი ჩარჩო გამოიყენონ ქალთა მიმართ ძალადობის ციფრულ განზომილებაზე რეაგირებისთვის. ასევე, გაზარდონ მათი უნარები ექსპერტიზის მიმართულებით, რათა მათ შეძლონ ელექტრონულ მტკიცებულებათა შეგროვება და შენახვა ისე, რომ არ მოახდინონ მსხვერპლის მეორეული ვიქტიმიზაცია და ტრავმირება. საჭიროა, გაიზარდოს საერთაშორისო თანამშრომლობის და ურთიერთსამართლებრივი დახმარების შესაძლებლობები ქალთა მიმართ ძალადობის ციფრულ განზომილებასთან დაკავშირებულ საკითხებზე იმისათვის, რომ გამარტივდეს სერვისის მიმწოდებლების მფლობელობაში არსებულ მტკიცებულებებზე წვდომა, მათ შორის, გამომწერის შესახებ ინფორმაცია, რომელიც ახდენს დანაშაულის ჩადენისას გამოყენებული პროფილის ან IP მისამართის მფლობელის იდენტიფიცირებას.

(გ) უზრუნველყონ, რომ სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სექტორმა გამოაქვეყნოს ანგარიშები ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევებზე ციფრულ სფეროში; ასევე, გააზიარონ დამატებითი ინფორმაცია დაკავებების, ბრალდებების, მსჯავრდებებისა და სასჯელების შესახებ; ამასთან, ინფორმაცია სქესის, ასაკის, ძალადობის ტიპის, მოძალადის მსხვერპლთან ურთიერთობის, გეოგრაფიული მდებარეობისა და სხვა ფაქტორების შესახებ, რომლებსაც წევრი სახელმწიფოები რელევანტურად მიიჩნევენ, რაც განამტკიცებს მსხვერპლის ნდობას სისხლის სამართლის

მართლმსაჯულების მიმართ იმ პირობით, რომ აღნიშული ინფორმაციის გამოქვეყნება არ დაარღვევს უდანაშაულობის პრეზუმფციას;

(დ) უზრუნველყონ ციფრულ სფეროში ჩადენილი ძალადობის მსხვერპლ ქალთა ეფექტიანი წვდომა სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაზე, ასევე, ასეთ შემთხვევებზე სახელმწიფოს მხრიდან ადეკვატური პასუხი, მათ შორის, სისხლის სამართლისა და, საჭიროების შემთხვევაში, ex officio (კერძო) ბრალდების გამოყენებით;

(ე) უზრუნველყონ, შემაკავებელი და დამცავი ორდერების გამოყენება ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის საქმეებში, რომლებიც ჩადენილია ონლაინ, ან საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებისა თუ სხვა ციფრული საშუალებების გამოყენებით;

(ვ) მიიღონ ზომები ქალთა მიმართ ციფრული ძალადობის დაუსჯელობის დასასრულებლად და ამ მიზნით წაახალისონ ყველა შესაბამისი აქტორის, მათ შორის, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებისა და ინტერნეტშუამავლების პასუხისმგებლობა, განსაკუთრებით, ონლაინ კონტენტის მკაცრი მოდერაციით ან წაშლით. ასევე, ხელი შეუწყონ მედიაკომპანიების თანამშრომლობას სამართალდამცავ ორგანოებთან.

კოორდინირებული პოლიტიკა

56. სტამბოლის კონვენცია წევრ სახელმწიფოებს სთხოვს, შეიმუშაონ და გაატარონ კოორდინირებული პოლიტიკა მმართველობის ყველა დონეზე, ყველა რელევანტური სააგენტოსა და ინსტიტუტის, სამთავრობო სააგენტოების, არასამთავრობო ორგანიზაციების, ეროვნული, რეგიონული და ადგილობრივი პარლამენტისა და ხელისუფლების წარმომადგენლების ჩართვით.

57. კოორდინირებული პოლიტიკის კუთხით, GREVIO მოუწოდებს წევრ ქვეყნებს შემდეგი ზომების მიღებისკენ:

(ა) შეასრულონ მინისტრთა კომიტეტის CM/Rec(2018)2 რეკომენდაციით გათვალისწინებული მითითებები ინტერნეტშუამავლების როლისა და პასუხისმგებლობის შესახებ, ინტერნეტშუამავლებთან დაკავშირებული საკანონმდებლო ჩარჩოს შემუშავებისა და განხორციელებისას, სტამბოლის კონვენციით გათვალისწინებულ ვალდებულებათა შესაბამისად;

(ბ) უზრუნველყონ ქალთა მიმართ ძალადობის ციფრული განზომილების აღიარება ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნულ სტრატეგიებში, პროგრამებსა და სამოქმედო გეგმებში, როგორც ძალადობის ყველა ფორმაზე ერთიანი პასუხის ნაწილი, სტამბოლის კონვენციის მე-7 მუხლის შესაბამისად. ამასთან, ერთიანი პასუხი უნდა მოიცავდეს ციფრული განზომილების გათვალისწინებას ნებისმიერ სტრატეგიაში, პოლიტიკასა და გაციფრულების ღონისძიებაში;

(გ) ეროვნულ და ადგილობრივ მმართველობის ორგანოებს, ასევე იურიდიულ დახმარებას, ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის ინსტიტუტებს, მათ შორის, ქალთა ორგანიზაციებს, გამოუყონ სათანადო ადამიანური და ფინანსური რესურსი, რათა ეფექტიანად შეძლონ ქალთა მიმართ ონლაინ

და ტექნოლოგიის გზით ჩადენილი ძალადობის პრევენცია, მისგან დაცვა და სისხლისსამართლებრივი დევნა. გამოყოფილი რესურსები საკმარისი უნდა იყოს იმისათვის, რომ ამ ორგანოებსა და ინსტიტუტებს საშუალება ჰქონდეთ, მოიწვიონ IT ექსპერტები, მიიღონ ტექნიკური აღჭურვილობა და, საჭიროების შემთხვევაში, ააწყონ ციფრული ინფრასტრუქტურა;

(დ) ციფრული კომპონენტით ქალთა მიმართ ძალადობის სეგრეგირებულ მონაცემთა სისტემატურად შეგროვებისა და გაანალიზებისათვის, ჩამოაყალიბონ სათანადო სისტემა. მონაცემთა შორის უნდა იყოს ინფორმაცია საჩივრების, ინციდენტებისა და ნასამართლობის შესახებ, ასევე, სამოქალაქო მართლმსაჯულების მიერ მიღებულ ზომებზე, როგორიცაა, მაგალითად, შემაკავებელი ორდერები. ყველა მონაცემი უნდა შეგროვდეს და გაანალიზდეს ურთიერთდაკავშირებული და სეგრეგირებული ფორმით. აუცილებლად გასათვალისწინებელია ძალადობის ტიპი, ასაკი, მოძალადესა და მსხვერპლს შორის ურთიერთობა, პოტენციური დამამძიმებელი გარემოებები (მოძალადეთა რაოდენობა, ძალადობის ხანგრძლივობა, განმეორება, ძალადობის ფორმების გადაფარვა, მსხვერპლის ბავშვების ჩართულობა ან მათზე გავლენა) და სხვა რელევანტური ფაქტორები;

(ე) უზრუნველყონ, რომ მონაცემები სუიციდის ან მისი მცდელობის შესახებ, ასევე, ინფორმაცია გენდერის ნიშნით ქალებისა და მათი ბავშვების მკვლელობაზე, შეიცავდეს შევიწროების ისტორიას, მათ შორის, სამუშაო ადგილას, ასევე, ადევნებას, ან ციფრულ სფეროში ჩადენილ ფსიქოლოგიურ ძალადობას;

(ვ) ჩაატარონ ან მხარი დაუჭირონ გამოკითხვებს, კვლევით პროგრამებსა და კვლევებს ქალთა მიმართ ძალადობის ციფრული განზომილების შესახებ, რათა სხვა საკითხებთან ერთად, გაზომონ ასეთი ძალადობის ფინანსური, პიროვნული და სოციალური გავლენა, მათ შორის, თვითცენზურა და ციფრული გამორიცხვა;

(ზ) წაახალისონ კერძო და საინფორმაციო-საკომუნიკაციო სექტორის (ICT) ჩართულობა პოლიტიკის, სახელმძღვანელო პრინციპების და თვითრეგულირებადი სტანდარტების შემუშავებასა თუ შესრულებაში, ადამიანის უფლებათა რელევანტური დებულებების შესაბამისად, ციფრულ განზომილებაში ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის მიზნით;

(თ) ჩართონ საინფორმაციო და საკომუნიკაციო სექტორი და ინტერნეტშუამავლები ციფრულ სფეროში ქალთა მიმართ ძალადობის ჩამდენ პირებზე პასუხისმგებლობის დაკისრების მცდელობებში ინტერნეტის შიდა წესების და სისხლის სამართლის და სხვა კანონმდებლობის საფუძველზე, კერძოდ:

i. მავნე შინაარსის შეტყობინებაზე რეაგირებისათვის, ინტერნეტმომხმარებლებს შესთავაზონ მარტივად ხელმისაწვდომი ეფექტიანი საჩივრის მექანიზმები, რომელიც შეძლებს, დროულად უპასუხოს აღნიშნულ შეტყობინებებს და გაითვალისწინოს ისეთი ფაქტორები, რომლებსაც ქალებსა და გოგონებზე არაპროპორციული გავლენა აქვთ ონლაინ ძალადობისას. ასეთებია, მაგალითად, სქესი, გენდერი, რასა, კანის ფერი, ენა, რელიგია, პოლიტიკური და სხვა შეხედულებები,

ეროვნული და სოციალური წარმომავლობა, ეროვნულ უმცირესობასთან ასოცირება, საკუთრება, დაბადების ადგილი, სექსუალური ორიენტაცია, გენდერული იდენტობა, ასაკი, ჯანმრთელობის მდგომარეობა, შეზღუდული შესაძლებლობა, ოჯახური მდგომარეობა, მიგრანტის ან ლტოლვილის და სხვა სტატუსები;

ii. ისეთ კომერციულ აქტივობათა წახალისება, რომლებიც ყველა ეტაპზე ითვალისწინებს ადამიანის უფლებათა პერსპექტივას, მათ შორის, პროდუქტის დიზაინში, რათა შემცირდეს რისკები ქალებისა და გოგონებისთვის, როგორიცაა, თვალთვალი და თვალყურის დევნება;

iii. წაახალისონ სერვისის მიმწოდებლები, რათა მათ თავიანთ პლატფორმებზე ხელმისაწვდომი გახადონ სამართლებრივი ინფორმაცია და ინფორმაცია თანხმობის გარეშე ატვირთული შინაარსის, მათ შორის, გამოსახულებებისა ან ვიდეოების წაშლის მოთხოვნის შესახებ, მათი მომხმარებელთა ბაზისთვის რელევანტურ და შესაფერის ენებზე;

(ი) კომერციულ სუბიექტებს აუკრძალონ შემოსავლის მიღება ქალებსა და გოგონებზე განხორციელებული სექსუალური ძალადობისგან, მაგალითად, გაუპატიურების ამსახველი ვიდეოსგან, მათ შორის, ასეთი მასალების წარმოებისა და გავრცელების კრიმინალიზების გზით. ეს პროცესი წარმართონ წევრი სახელმწიფოების მიმართ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციის - „კიბერკონტენტთან დაკავშირებული თვითრეგულირების შესახებ“ - შესაბამისად[18], ასევე, „ძალადობრივი და ექსტრემალური პორნოგრაფიის შესახებ“ საპარლამენტო ასამბლეის მიერ მიღებული რეზოლუციის[19] გათვალისწინებით; და

(კ) უზრუნველყონ რესურსები და ხელსაყრელი გარემოს ჩამოყალიბება ეფექტიანი საჯარო-კერძო პარტნიორობის შესაქმნელად, სადაც ჩართული იქნება კერძო და საინფორმაციო საკომუნიკაციო სექტორი, არასამთავრობო და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები (განსაკუთრებით, ქალთა ორგანიზაციები და სპეციალიზებული სერვისის მიმწოდებლები), თანასწორობის ორგანოები, სახალხო დამცველები, ეროვნული ადამიანის უფლებათა ორგანიზაციები და რელევანტური ინსტიტუტები, რათა გაუმჯობესდეს ციფრულ განზომილებაში ქალთა მიმართ ძალადობაზე რეაგირება ყველა დაინტერესებული მხარის ცოდნისა და შესაძლებლობის გაერთიანებით.

18. Council of Europe (2001), Recommendation CM/Rec(2001)8 of the Committee of Ministers to member States on self-regulation concerning cybercontent (self-regulation and user protection against illegal or harmful content on new communications and information services).
19. Council of Europe (2011c), Parliamentary Assembly Resolution on violent and extreme pornography, ხელმისაწვდომია ბმულზე: http://assembly.coe.int/nw/xml/XRef/Xref-XML2HTML-EN.asp?fileid=13173.

დანართი: ლექსიკონი

ეს ლექსიკონი მოიცავს ციფრულ სფეროში ყველაზე ხშირად გამოყენებულ ტერმინთა განმარტებებს, ასევე, ციფრულ სივრცეში ქალთა მიმართ ძალადობის ყველაზე გავრცელებულ ფორმებს და, შესაძლოა, არ ასახავდეს GREVIO-ს შეხედულებებს. ეს ლექსიკონი მუდმივად განახლდება, რათა მას დაემატოს ახლად გაჩენილი ტერმინოლოგია, ასევე, ქალთა და გოგონათა მიმართ ძალადობის ფორმები ციფრულ სფეროში.

ეარდროფი(Airdrop)

Airdrop არის Apple-ის სერვისი, რომელიც მომხმარებლებს საშუალებას აძლევს, სხვადასხვა მონაცემი გაცვალონ Apple-ის პროდუქტის სხვა მომხმარებელთან, რომელიც მასთან ახლოს იმყოფება.

ალგორითმი (Algorithm)

ალგორითმი არის ინსტრუქციების ნაკრები ან თანმიმდევრობა, რომელიც გამოიყენება კომპიუტერულ სისტემაში ავტომატური ამოცანის შესასრულებლად ან პრობლემის გადასაჭრელად.

სხეულის შერცხვენა (Body shaming)

სხეულის შერცხვენა გულისხმობს ვინმეს სხეულის ფორმაზე, ზომასა ან გარეგნობაზე კომენტარის გაკეთებას თუ დაცინვას.

ღრუბლოვანი სისტემა (Cloud)

ეს არის კომპიუტერულ მონაცემთა შენახვის ალტერნატიული გზა, სადაც ციფრული მონაცემები ინახება არა მომხმარებლის ფიზიკური მეხსიერების დისკზე, არამედ, გარე სერვერებზე, ზოგჯერ სხვადასხვა ადგილას, რომელსაც ფლობს და მართავს მასპინძელი კომპანია.

ქრიფშოთი (Creepshots)

ქრიფშოთი არის ქალების სექსუალურად მაცდური ფოტოები, რომლებიც მათი თანხმობის გარეშეა გადაღებული.

კიბერბულინგი (Cyberbullying)

კიბერბულინგი არის ბულინგის ფორმა, რომელიც თავს იჩენს ციფრულ სივრცეში, ციფრული ხელსაწყოების გამოყენებით და, როგორც წესი, მიიჩნევა, რომ გავლენას ახდენს არასრულწლოვნებზე.

კიბერფლეშინგი (Cyberflashing)

კიბერფლეშინგი გულისხმობს არასასურველი სექსუალური სურათების თუ ტექსტის გაგზავნას გაცნობის ან შეტყობინების აპლიკაციების, ეარდროფის ან ბლუთუზის (Bluetooth) გამოყენებით.

DDoS შეტევა (Distributed denial of service)

DDoS შეტევა არის სერვისის ან სერვერის გადატვირთვის, შეფერხების ან გამორთვის მცდელობა, მასზე იმაზე მეტი ინტერნეტტრეფიკის გამოწვევით, ვიდრე სერვერს შეუძლია, რომ გაუძლოს.

დედნეიმინგი (Deadnaming)

დედნეიმინგი არის ტრანსსექსუალი ადამიანის დაბადების სახელის (რომელიც მის გენდერს არ შეესაბამება) მიზანმიმართული გამოყენება, მათი შერცხვენის, მუქარის, შეშინების ან შეურაცხყოფის მიზნით.

დიფფეიქი (Deepfakes)

დიფფეიქი არის ვიდეოები, სადაც ადამიანის სახე (უწყვეტად) ჩანაცვლებულია სხვა ადამიანის სახით, ალგორითმებისა და ღრმა სწავლებების გამოყენებით, ასევე, ხმის მანიპულაციით ისე, რომ შეიქმნას სხვა ადამიანის ქმედებათა დადგმის ილუზია.

დოქსინგი (Doxing)

დოქსინგი არის სამიზნე ადამიანის პირადი ინფორმაციის (ტელეფონის ნომრის, იმეილის, სახლის მისამართის, პროფესიული კონტაქტების) ონლაინ გაზიარება, მათი თანხმობის გარეშე, ძალადობის წახალისების მიზნით.

ელექტრონული მტკიცებულება (Electronic evidence)

ელექტრონული მტკიცებულება არის ნებისმიერი ციფრული ან ტექნოლოგიური მოწყობილობის მიერ წარმოებული მონაცემიდან მიღებული მტკიცებულება.

ფლეიმინგი (Flaming)

ფლეიმინგი არის შეურაცხმყოფელი ან მტრული, მათ შორის დამამცირებელი შეტყობინებების გამოქვეყნება სოციალურ ქსელებში ან ფორუმებზე.

გაჩუმება (Silencing)

ციფრულ სფეროში გაჩუმება გულისხმობს ადამიანის უუნარობას, მონაწილეობა მიიღოს ან გამოხატოს მოსაზრებები ონლაინ სივრცეში ძალადობის ან შეურაცხყოფის შიშის გამო, რაც საბოლოო ჯამში იწვევს მათ გამორიცხვას საჯარო დებატებიდან, რომელშიც მათ სურდათ მონაწილეობის მიღება.

გეოლოკაცია (Geolocation)

გეოლოკაცია არის მოწყობილობის ფუნქცია, რომელიც GPS-ის ან დაკავშირების სხვა ფორმების მეშვეობით იკვლევს გეოგრაფიულ მდებარეობას.

ჰაკერობა (Hacking)

ჰაკერობა არის უკანონოდ ან თანხმობის გარეშე კომპიუტერულ სისტემაში ან ქსელში შეღწევის პროცესი.

„ჰეფი სლეფინგი“ (გადაღებული თავდასხმა) “Happy slapping” (filmed assault)

„ჰეფი სლეფინგი“/გადაღებული თავდასხმა არის მსხვერპლზე თავდასხმა (ფიზიკური თავდასხმა ან სექსუალური შეურაცხყოფა), რომლის მიზანიც არის თავდასხმის ჩაწერა ან ონლაინ გაზიარება.

გამოსახულებაზე დაფუძნებული სექსუალური შეურაცხყოფა (Image-based sexual abuse)

გამოსახულებაზე დაფუძნებული სექსუალური შეურაცხყოფა გულისხმობს მოძალადის მიერ ურთიერთობის დროს ან მსხვერპლის კომპიუტერიდან, სოციალური მედიის ანგარიშებიდან ან ტელეფონიდან მოპარული და მოპოვებული სექსუალური ხასიათის ფოტოების ან ვიდეოების ონლაინ გავრცელებას.

ნივთების ინტერნეტი (Internet of Things (IoT))

IoT არის ფიზიკური ობიექტების ქსელი, რომელიც დაკავშირებულია ერთმანეთთან და ინტერნეტთან, შესაბამისად, იწერს და გადასცემს მათი გამოყენების შესახებ მონაცემებს.

IP მისამართი (ინტერნეტ პროტოკოლის მისამართი) (Internet Protocol address)

IP მისამართი არის უნიკალური ნომერი, რომელიც ენიჭება ინტერნეტთან დაკავშირებულ მოწყობილობას მისი იდენტიფიკაციისა და მდებარეობის დადგენის მიზნით.

ორბიტინგი (Orbiting)

ორბიტინგი არის ვინმეს შეტყობინებებზე პასუხის არგაცემა ან მათთან პირდაპირი ურთიერთობის არ ქონა, თუმცა მათ ონალინ ქმედებებზე თვალის დევნება (პოსტების მოწონება, ისტორიების ნახვა და სხვა).

აუთინგი (Outing)

აუთინგი გულისხმობს ვინმეს სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობის გამოვლენას მათი თანხმობის გარეშე, ხშირად საჯაროდ.

სექსთინგი (Sexting)

სექსთინგი მოიცავს ტექსტური შეტყობინების ან ჩეთის საშუალებით სექსუალური ხასიათის შეტყობინებების გაცვლას, გაგზავნას ან მიღებას, რომლებიც ხშირად შეიცავს სურათებს ან ვიდეოებს.

სექსუალური გამოძალვა (Sexual extortion)

სექსუალური გამოძალვა, იგივე „sextortion“, არის სექსუალური შინაარსის მასალის (გამოსახულებები, ვიდეოები, დიფფეიქები, სექსუალური ხასიათის ჭორები) გამოქვეყნებით დაშინება, პიროვნების მუქარის, იძულების ან შანტაჟის მიზნით, უფრო მეტი სექსუალური შინაარსის მასალის, ფულის ან ორივეს მიღების მიზნით.

სფაივეარი/სთოლქერვეარი (Spyware/Stalkerware)

სფაივეარი არის პროგრამა, როგორც წესი, აპლიკაციის სახით, რომელიც ჩამოტვირთულია ვინმეს ტელეფონზე ან მოწყობილობაზე, მათზე

განხორციელებული ქმედებების კონტროლის მიზნით. სფაივეარი ოჯახში ძალადობის კონტექსტში სთოლქერვეარად (stalkwear) მიიჩნევა.

სვოთინგი (Swatting)

სვოთინგი არის ტელეფონების ან კომპიუტერული სისტემების გამოყენება სასწრაფო დახმარების სერვისის მოსატყუებლად, მცდარი შეტყობინების საფუძველზე სამართალდამცავი ორგანოების კონკრეტულ ადგილას გასაგზავნად.

ტროლინგი (Trolling)

ტროლინგი არის მიზანმიმართულად შეურაცხმყოფელი კომენტარების ონლაინ განთავსება, განგაშის, ტანჯვის ან დამცირების გამოხატული განზრახვით. აღნიშნული თავდასხმები შეიძლება განხორციელდეს ადამიანთა ჯგუფის მიერ კოორდინირებული და მიზანმიმართული ხერხებით.

GREVIO, ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებებზე მომუშავე ექსპერტთა ჯგუფი, არის ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა მონიტორინგის ორგანო. იგი შედგება დამოუკიდებელი ექსპერტებისგან. მისი მანდატია, მონიტორინგი გაუწიოს, თუ რამდენად ასრულებენ მხარეები ევროპის საბჭოს კონვენციას ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ (სტამბოლის კონვენცია); და უფლებამოსილია მიიღოს ზოგადი რეკომენდაციები კონვენციის შესრულებასთან დაკავშირებით.

PREMS 008622

www.coe.int/conventionviolence

GEO

www.coe.int

ევროპის საბჭო ადამიანის უფლებათა წამყვანი ორგანიზაციაა. ის აერთიანებს 46 წევრ სახელმწიფოს, მათ შორის, ევროკავშირის წევრ ყველა ქვეყანას. ევროპის საბჭოს ყველა წევრმა ქვეყანამ ხელი მოაწერა ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას, რომელიც შექმნილია ადამიანის უფლებების, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის დასაცავად. ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებში კონვენციის განხორციელებას ზედამხედველობას უწევს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო.

COUNCIL OF EUROPE

CONSEIL DE L'EUROPE